

&DW19 60&1WU909 **ռ**սբշաս աշշսբ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ ᲪᲐᲓᲐ

15 ᲛᲐᲠᲒᲘᲦᲐᲜ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ **INSCEMCAME**

პარასკევი, 16 მარტი, 2018

ფასი: 50 თეთრი **№**63 (7608)

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲦ 8 ᲚᲐᲠᲘ

ᲙᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**. ᲛᲬᲐ**ᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚ

ვის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას პროკურატურას სკანდალური მოწმე

100 ამბავი







ՐԱՐԱՐԻՅՍՋՈ **ᲒᲐᲓᲐᲘᲠᲘᲝ**

..֎ՠᲚᲝᲮᲐᲕᲐᲡ ՈՄՅՄ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲔᲑᲦᲜᲔᲜ, മാവപ്പാഴാ



ᲡᲐᲥᲠᲔᲑᲣᲚᲝᲛ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲐᲚᲐ ᲘᲡᲔᲕ യാളപ്പാ ᲣᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝᲓ



ลกง ลงควหกตั้งสว: "ՆԻՆՅՈՒ ՆᲥՅՆ Უ**ᲤᲚᲔᲑᲐ, ᲗᲥᲕᲔ**ᲜᲘ ᲔᲖᲝᲓᲐᲜ ᲮᲘᲡ **833106379**0 **ᲨᲔᲒᲖᲦᲣᲦᲝᲗ**



"ᲠᲐᲦᲐ ᲒᲐᲥᲡᲘᲡᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲯᲔᲠ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲦᲝᲡ!"



ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ **URCEMACH გ**ტელღეგულს



86%-L

97239U

യെപ്പെടാള

ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲦᲘᲐᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ **ລ**ຸນເນັ້ນວຽນເ გაღაცემას ՈԾԵশ3Ს



6 **6500** ຓຐຎຐຓຨຨ აღკვეთა อบฉควะว



"ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐᲨᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲦᲛᲘ

–ՆճԸԵՊոՆ୭

Ხ3ᲔᲬᲜᲐᲖᲔ

ՈԽՆճሮՆՍ

ንሣ ሀባይጋያን,



asamn **16834638**L ንሮንሐ 97743114791





თანხა. **ക്സ**രാട്പോദ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ**Ბ**ᲐᲨᲘ **ᲮᲐᲠ**ᲯᲐᲕᲔᲜ




21 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ **Ի**ՊԻ–ՈՐ ี่ ขวยวอลผมอะบท ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲐᲡ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ







მალსაზ องหงตกงงขอกตก: **BPJ&ንΨቦ ຟ**፠ን₽ቦ ንΨ **ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ**"



6ᲣᲙᲠᲘ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ: "ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲦᲛᲘ **ᲓᲐᲩᲝᲥᲔᲑᲐ–ᲮᲕᲔᲬᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ"**

"ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი **ნუკრი ქანთარია**, "ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, პრემიერის რუსეთისადმი მიმართვასთან დაკავშირებით არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიცია ერთობლივი განცხადების გავრცელებას აპირებს. რამდენად იყო მოსალოდნელი, რომ კვირიკაშვილის ეს მიმართვა ასეთ რეაქციებს გამოიწვევდა?

- პრემიერის ეს მიმართვა საკშაოდ დროული და ღირსებით სავსე იყო. ქვეტექსტში ეს საკმაოდ გამოკვეთილი იყო და, ვისაც ამის დანახვა უნდოდა, ის დაინახავდა კიდეც. ჩვენ რუსეთის პროვოკაციებს არ წამოვეგებით. ჩვენი გზა არის ურთიერთობების დალაგების გზა. აქამდე ცხედ-რის გადმოცემა რომ არ ხდება, პროვოკაციაა, งอง, คึง งค์กบ์, อิงลูค์งอิ หิลูาธิ งฮ์ งิศ์คาลูคาลูงั้นกฎอับ งค์ წამოვეგებით. ამის ფონზე ნელ-ნელა შეიძლება ხელი გაგექცეს იქითკენ, რაც უკვე ვნახეთ და გამოვცადეთ, სამწუხაროდ, ამიტომ გონივრულობას ალტერნატივა არ აქვს.

როგორც პასუხისმგებლობის მქონე ლიდერმა, სახელმწიფოს მეთაურმა კვირიკაშვილმა, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესები მაღლა დააყენა, თორემ, რა მიხვედრა უნდა იმას, თუ ოპოზიცია როგორ გაყიდდა ამას და როგორ შეეცდებოდა სათავისოდ ამის გამოყენებას. ჩვენ აქამდე მოვახერხეთ სტაბილური გარემოს შექმნა და მის შენარჩუნებას ვცდილობთ. ეს არის მთავარი და არა ის, გარკვეული ჯგუფები რომ გამოვარდებიან და მათი შიშით არაფერი არ უნდა ვთქვათ.

– ოპოზიცია ამბობს, რომ პრემიერის ეს მიმართვა დამასუსტებელი, დამაზიანებელი იყო. რას აპირებს უმრავლესობა



– ამას განსაკუთრებით ის ხალხი ამბობს, რომელთაც წითელი ხიდი კრიტიკულ სიტუაციებში გვერდით ეგულებათ ხოლმე.

– ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობთ? - ნაციონალურ მოძრაობასაც და "ევროპული საქართველო" რომ ჰქვიათ, მათაც, სხვებსაც, რომლებიც მათ არიან მიტმასნილი. რა თქმა უნდა, მოლოდინი არავის ჰქონდა, რომ საპასუხოდ რუსეთის ფედერაციიდან ია-ვარდები წამოვიდოდა და ბოდიშები, სინანული – ეს რა მოგვსვლიაო! ჩვენ კარგად ვიცით რუსეთის დღევანდელი პოზიცია, ყველა ვხედავთ, როგორია მისი

პოზიცია თუნდაც დიდ ბრიტანეთში. ტერეზა მეის, დიდი ბრიტანეთის პრემიერის განცხადებას მესამე პირმა უპასუხა. ამიტომ მე ვეთანხმები პრემიერ კვირიკაშვილს, როდესაც ის ამბობს, რომ საუბრისთვის გარკვეული სივრცე რჩება.

– რეზოლუციის ტექსტთან დაკავშირებითაც მაინტერესებს: როგორია ამ საკითხზე უმ-რავლესობის პოზიცია, შედარებით რბილი უნდა იყოს თუ შესაძლებელია, უმცირესობასთან ერთად მიიღოთ?

— ამ საკითხზე ჩემი გამოკვეთილი პოზიცია მაქვს: რეზოლუციები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, შეიძლება მკაცრი იყოს, შეიძლება – შედარებით ნეიტრალური, მაგრამ რეზოლუციას გარკვეული რესურსი უნდა გააჩნდეს, მის უკან საქმე უნდა იდგეს. ჩვენ გადავყევით იმას, ერთიანი იქნება რეზოლუცია თუ არ იქნება, ისეთ რეგისტრში ავიყვანეთ, რომ ამ რეზოლუციამ უნდა გადაწყვიტოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ბედი ან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. კარგ შემთხვევაში, შეიძლება, ეს რეზოლუცია იყოს "ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", უარეს შემთხვევაში კი შეიძლება დაგვაზიანოს კიდეც.

– რა შემთხვევაში?

– თუ გულის მოოხებას დავიწყებთ, თუ იმ ემოციას, რაც გვაქვს, ქაღალდზე გადმოვღვრით. ქაღალდი კი გაუძლებს, მაგრამ შემდეგ?! ამიტომ, ვფიქრობ, გაცილებით გონივრული მიდგომაა საჭირო, თუკი რაღაც შედეგზე გვინდა გასვლა. რა თქმა უნდა, საუბარი არ არის დაჩოქებახვეწნასა და თავის დამცირებაზე. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ აუცილებელია, ჩვენი მიდგომა რაცი-

– პარტია "ქართული ოცნება" პრემიერს

სეთ-საქართველოს ურთიერთობაზე თუ კიდევ განიხილეთ სხვა საკითხები? სამთავრობო ცვლილებებზეც იყო მსჯელობა?

- არა, სხვა საკითხებზე არ ყოფილა საუბარი. ეს იმდენად ვრცელი საკითხია, რომ მას ძალიან დიდი დრო დავუთმეთ. ერთი საკითხი, რომელზეც ვისაუბრეთ, ვანი-ხონის მაჟორიტარობის კანდიდატი იყო, მოგეხსენებათ, გივი ჭიჭინაძე დასახელდა კანდიდატად.

– ็ชึกชิงใจจริศักฎชิติเอ ิตกิตาศิกป ปริสิตจริศักศิก ცვლილებები იგეგმება. გუნდში არის ამაზე საუბარი?

– მსგავსი არაფერი ხდება. ვერ გეტყვით, ვისი ფანტაზიებია.

— საპრეზიდენტო კანდიდატი თუ შეათან-ხმა "ქართულმა ოცნებამ"?

– ჯერჯერობით არა.

– არც შეხვედრა გამართულა ამ საკითხზე?

- ჯერ არ ყოფილა ამ საკითხზე მსჯელობა. თუმცა, ამის დრო ახლოვდება და მოგვიწევს ამ საკითხზე მსჯელობა და შეთანხმება. ვფიქრობ, უახლოეს დროში ამ საკითხზე იქნება შეხვედრა. ბუნებრივია, ყველა რაღაცას ფიქრობს, მაგრამ საქმიანი მსჯელობა ამაზე ნამდვილად არ ყოფი-

– მართალია, რომ მმართველ პარტიას ქალი კანდიდატი ეყოლება?

– არა მგონია, ასე იყოს. ისე, ქალი კანდიდატი ცუდად არ ჩანს თავისთავად, მეტიც, მიმზიდველად გამოიყურება, თუნდაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეის რომ უყურებ, მის პოლიტიკას, მაგრამ ეს არ იქნება ძირითადი კრიტერიუმი. ვისაც ეკითხებიან, ყველა პასუხობს, რომ კარგი იქნება ქალი კანდიდატი და მეც შემიძლია, ასე გიპასუხოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონკრეტულად ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ასე ნამდვილად არ არის.

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲛ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲐᲚᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ



შორენა მარსაგიშვილი

ბორჯომის სახელფასო სკანდალი გრძელდება. დღეს, 16 მარტს, ჩანიშნული სხდომა, სადაც მაღალჩინოსნებისთვის ხელფასების მომატების საკითხი უნდა განხილულიყო, საკრებულოს გადაწყვეტილებით გადაი-

ეს გადაწყვეტილება საკრებულოში გამართულ საფინანსო კომისიისა და ბიუროს სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა მიიღეს. "ოცნების" წარმომადგენლები სხდომას არ დასწრებიან.

როგორც ბორჯომის საკრებულოს ლეიბორისტული პარტიის წევრმა გიორგი გიუაშვილმა "ახალ თაობასთან" საუბარში განაცხადა, მერიას ხელფასების განმსაზღვრელი დოკუმენტი უკან დაუბრუნდა რეკომენდაციებითა და სხვა მუნიციპალიტეტების შერიის სამსახურებში არსებული სახელფასო ნუსხით.

დეპუტატის თქმით, იმ ფორმით

ხელფასების მატებას, რომელსაც მერია მოითხოვს, საკრებულოს ოპოზი-ციური ნაწილი მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს მორიგი გეგმური სხდომა 28 მარტისთვის არის ჩანიშნული. გიუაშვილი არ გამორიცხავს, რომ "ოცნების" მხრიდან რაიმე პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი.

კარგად ხედავთ, რა დღეში აგდებს სხვა რაიონებში სუსი საკრებულოებს. ერთი თითის დაქნევით იღებენ მათთვის სასურველ გადაწყვეტი-ლებებს. ჩვენთან სხვანაირად არის საქმე. ჩვენ არ ვაპირებთ დათმობაზე წასვლას. ამას კარგად მიხვდა "ქართული ოცნება" და ისინი პროვოკაციებს არ მოერიდებიან. არ გამოვრიცხავთ, რომ კიდევ მოაწყონ საკრებულოსთან პიკეტი, – ამბობს გიუაშვილი.

ის კატეგორიულად უარყოფს ბორჯომის მერის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მერიის მაღალჩინოსნებისთვის ხელფასების გაზრდას მოსახლეობა ით-

– ეს არის სიცრუე. ხელფასების

გაზრდას მერიის მაღალჩინოსნები ითხოვენ. მოსახლეობა რატომ უნდა იყოს დაინტერესე-ბული იმით, რომ ჩინოსნებს ხელფასები გაეზარდოთ? ეგ მაგათი მოგონილი ამბავია. ამ თემაზე რამდენიმე ტელევიზიამ ჩაატარა გამოკითხვა და მოსახლეობამ ერთხმად აღნიშნა, რომ ისინი ხელფასების გაზრდას მხარს არ უჭერენ, – ამბობს "ახალ თაობასთან" საუბარში ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი.

მისი თქმით, საკრებულოს, რომლის უმრავლესობასაც ოპოზიცია წარმოადგენს, საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს მუშაობა.

– დავდივართ ასე, საწვავიც კი არ გვაქვს. პასტასა და ფურცელსაც ჩვენი ფულით ვყიდულობთ, მაგრამ არ დავნებდებით. ეს თუ გაუვიდა ბორჯომის ხელისუფლებას, მაშინ რა აზრი აქვს საკრებულოში ჩვენს ყოფნას.

ეს მეოცნებეები იმდენად "მეშჩა-



ნები" არიან, რომ გამგეობის მისაღებიდან ტყავის სავარძლებიც კი მოიპარეს. ეს სავარძლები ფოიეში იდგა და ამომრჩეველი იქ ელოდებოდა გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებს. ერთი სავარძელი გამგებლის მოადგილემ შეიტანა კაბინეტში, მეომაჟორიტარ გედი ფოფხაძის ბიურომ წაიღო, – აცხადებს საკრებულოს დეპუტატი.

მისი განცხადებითვე, გამ-გეობა ცდილობს, მათ დაბალი რანგის მოხელეები დაუპირისპი-

– ეს ადამიანები ჩვენ ალმაცერად გვიყურებენ. არადა, მათ რა პრეტენზია უნდა ჰქონდეთ ჩვენთან. მერიის მაღალჩინოსნები იმდენით ითხოვენ ხელფასების გაზრდას, რა ოდენობის ხელფასიც ამ ადამიანებს საერთოდ არ აქვთ. ეს არის უსამართლობა და ამიტომაც უკვე მეექვსედ ვუთხა-რით უარი მერიას, — აღნიშნავს

გიუაშვილი. მისი თქმით, გორს, ბორ-ჯომთან შედარებით, 30 მილიონით მეტი ბიუჯეტი აქვს და მერიის მაღალჩინოსნებს იქაც კი არ გახსნიათ ასე

გიუაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მერია ისევ თავისას გააგრძელებს, საკრებულოს ოპოზიცია მათ სასამართლოში უჩივლებს.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲛᲐᲩᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲕᲘᲦᲠᲔ ᲢᲐᲢᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲦᲐᲠᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲐᲠ



ვფიქრობ, რომ ვიდრე ტატუნაშვილის ცხედარს ოჯახს არ გადასცემენ, აქციების გამართვა არასწორია. მე მათ მდგომარეობაში შევდივარ, ისინიც ჩემსავით შვილმკვდარი მშობლები არიან, – ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს თემირლან მაჩალიკა შვილის მამამ განუცხადა. მალხაზ მაჩალიკა შვილი თბილისში აქციის გამართვაზე საუბრობს, თუმცა ამ ეტაპზე ზუსტ დროს ვერ ასახელებს.– მას შემდეგ, რაც ხელყუმბარასთან დაკავშირებით ექსპერტიზის პასუხს გავეცანი, უფრო მეტი კითხვა გამიჩნდა, ვიდრე პასუხები მქონდა. სწორედ ამიტომ ხეობის მცხოვრებლებმა და ჩვენ გადავწყვიტეთ, პროტესტი აქციების სახით გამოვხატოთ.

იქნებ პროტესტის ამ ფორმამ გამოიღოს შედეგი და მოხდეს ყველა იმ პირის დასჯა, ვინც ჩემი უდანაშაულო შვილი საკუთარ საძინებელში მოკლა, თუმცა აქციების ზუსტი დროის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია.

ჩვენ მზად ვართ და პარასკევს ვაპირებდით აქციის გამართვას, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ტატუნაშვილების ოჯახს ვიდრე ცხედარს არ გადმოსცემენ, აქციების გამართვა არასწორია. მე მათ მდგომარეობაში შევდივარ, ისინიც ჩემსავით შვილმკვდარი მშობლები არიან. ვფიქრობთ, სავარაუდოდ, ორშაბათს გავმართოთ აქცია, თუმცა, არც ეს დროა ზუსტი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, – აღნიშნა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ 3NBN, ᲠᲐ ᲮᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ ᲡᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝ"

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის გენერალური პროკურორის, იური ლუცენკოს, მხრიდან უკრაინელი დეპუტატის, ავჩენკოს, მიმართ წაყენებულ

ეხმაურება. – მე კარგად ვიცი, რა ხილია სავჩენკო, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებას ძალიან ეშინია არჩევნების. რაღაც მკარნახობს, რომ მათი საქმე ძალიან ცუდადაა, ვინაიდან ლუცენკო ასევე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მე კურჩენკოს ფულით უკრაინის პარლამენტის

მოდიან.



აღებას ვაპირებდი. ასე ხდება, როდესაც ხელისუფლებაში სრული თაღლითები

არა უშავს, მალე ჩვენ ამ მარაზმს ბოლოს მოვუღებთ – ყოველგვარი ძალადობის, სროლისა და ბომბების გარეშე, – წერს სააკაშვილი

abaen

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან დამფუმნებლები: ნინო ბაკურამე, ზურაბ ბერიმე, სოსო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი **რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსა_გიშვილი

კონსულტანტები ლთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

<u>სარეკლამო სამსახური</u> – 2-94-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

33റ്-ുട്ടൂൻ്റ്റ്റ് www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცზადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ᲚᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲬᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ვის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას პროკურატურას სკანდალური მოწმე

შორენა მარსაგიშვილი

ახლო მომავალში საზოგადოებას ბევრი ახა-ლი სკანდალი ელოდება. მოწმე გოდერძი ჯოლოხავას პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებები იმდენად სკანდალური აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ მისი მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასმა

მოწმე ჯოლოხავას უფლებებს სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის ადვოკატები იცავენ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა "ახალ თაობასთან" საუბარში ამბობს, რომ ჯოლოხავას მონაყოლი საზოგადოებას შოკში ჩააგდებს.

მოწმეს, რომელმაც სიმართლის თქმა გადაწყვიტა, სახელმწიფომ 2 დაცვა დაუნიშნა და მისთვის კონსპირაციული ბინაც გამოყო. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრში ამის შემდეგ ცოტა დამშვიდდნენ და ჩათვალეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფის სიცოცხლე დაცული იქნებოდა.

გუშინ, 15 მარტს, შუადღისთვის, ჯოლოხავამ მეუღლეს მესიჯი მისწერა, სადაც ამბობდა, რომ მის სიცოცხლეს აზრი არა აქვს. პროკურატურის განცხადებით, მოწმის სიცოცხლე დაცულია და მას საფრთხე არ ემუქრება. პროკურატურის არ სჯერა ზვიად კუპრავას.

რატომ ეშინიათ ჯოლოხავას გამო სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრში, რა დავალებებს აძლევდნენ მას, ვისი გვარები ამოტივტივდა და ვისთან მიდის კვალი, რაზე ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფოს? – ამის შესახებ ზვიად კუპრავა "ახალ თაობას" ესაუბრება.

ზვიად კუპრავა:

თქვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ პროკურატურამ გოდერძი ჯოლოხავას დაუნიშნა დაცვა და ის კონსპირაციულ ბინაში მოათავსა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სიცოცხლე იქნება დაცული.

ამის ნათელი მაგალითია შალვა თათუხაშვილის ისტორია. ისიც სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

მინდა მჯეროდეს, რომ მსგავსი რამე არ მოხდება ჯოლოხავას შემთხვევაში. ღმერთმა არ ქნას და, თუ რამე მოხდა, შემიძლია ახლავე ვთქვა, რომ ეს ადამიანი თვითმკვლელობას არ აპირებს. ეს რომ სდომებოდა, დაცვას არ მოითხოვდა. მან სიმართლის თქმა გადაწყვიტა და სწორედ ამ მიზნით მოვიდა ჩვენს ორგანიზაციაში.

ამ ინტერვიუს როცა ვწერთ, ჩემმა მეგობრებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ გოდერძი ქალაქის პროკურატურაში მიიყვანეს და ის ჩვენებებს იძლევა. მას ძალიან ბევრი ბინძური საქმე გააკეთებინეს, არადა, არ ილევა ეს საქმეები.

– განა რამდენი აქვს სალაპარაკო, რომ ამდენი ხანი აძლევს ჩვენებებს?

მოსაყოლი ძალიან ბევრი აქვს გუშინდლამდე ანუ 15 მარტამდე ის სამჯერ დაიკითხა. პროკურატურაში პირველად 12 მარტს მივედით, სადაც მისი დაკითხვა 8 საათი გაგრძელდა, რის შემდეგაც ჩვენების მისაცემად უკვე ქალაქის პროკურატურაში დაგვიბარეს. ჯამში, ის 18 საათი იძლეოდა 🗔 ჩვენებებს. ამას დაემატება ის დროც, რომელიც მან 15 მარტს გაატარა პროკურატურაში.

ის თავის ჩვენებებში კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობს და კონკრეტულ გვარებს ასახელებს. ასახელებს ყველა იმ ადამიანს, რომლებისგანაც მიუღია უკანონო დავალებები. საუბრობს იმაზეც, თუ ვინ მოახდინა მისი გადაბირება. მისი დავერბოვკება ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ის ციხეში

მე წინა ინტერვიუშიც გითხარით, რომ ცი-ხეში მასთან შევიდა ლაშა მელიქია, იქიდან კი იმის



ზვიად კუპრავა: "ჯოლოხავას ისეთ სიბინძურეებს აკეთებინებდნენ, შეიძლება გადაირიო"

მაღალჩინოსანი, მირზოევი, რომლის გვარი კორტების სპეცოპერაციის საქმეშიც ფიგურირებს. პოლიტიკური სპექტრის მხრიდან საქმეში იყვნენ ჩართული ირმა ინაშვილი, თეა ნულუკიანი, არჩილ კბილაშვილი. სულ ახლახან ამოტივტივდა პროკურორ მაია მწარიაშვილის გვარი.

წავა თუ არა კვანძი უფრო შორს, ამას მომავალი გვაჩვენებს. ის გვარები, რომლებიც ახლა ვახსენეთ, ნამდვილად მონაწილეობდნენ ამ სქემაში. ადრეც გითხარით, რომ ჯოლოხავასთან დაკავშირებით განცხადებები აქვთ გაკეთებული წულუკი-

ვარ. ბევრი რამე მსმენია, მაგრამ მსგავსი – არაფერი. ხელისუფლებაში "ოცნების" მოსვლის შემდეგ გამუდმებით სისხლიან 9 წელინადზეა საუბარი, მაგრამ ამ ჩვენებებში ისეთი რამეები წერია, რა 9 წელი, რის 9 წელი. კაცი ამბებს ყვება, შეიძლება გადა-

– შეიძლება რამის მოყოლა?

– მაგალითად, პოლიციაში მას აძლევდნენ ნარკოტიკებს და ეუბნებოდნენ, რომ გაეყიდა. შემოსული თანხა ჯოლოხავას პოლიციაში მიჰქონდა. ეს ხომ საშინელებაა, მაგრამ, სხვა დავალებებთან შედარებით, არაფერია.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით – 2015 წელს რუსთავში მოკლეს ახალგაზრდა კაცი. სამართალდამცავებს ძალიან უნდო-დათ საქმის გახსნა და ასეთი რამე მოიფიქრეს: ჯოლოხავა მიუგზავნეს მოკლულის მამას, რომელიც შვილის ამბავს ძალიან

ამ ადამიანს შვილმკვდარი მამის-თვის უნდა შთაეგონებინა, რომ მას შური ეძია და შვილის მკვლელი მოეკლა. ჯოლოხავამ მისი დარწმუნება მოახერხა, მაგრამ მოკლულის მამამ უთხრა, რითი მოვკლა, იარაღი არ მაქვსო. სამართალდამ-

ცავების დავალებით იარაღი მას ჯოლოხავამ მიუტანა, ვითომ სადღაც უშოვა და მიჰყიდა. შვილმკვდარმა მამამ ამ იარაღში 600 დოლარი გადაიხადა. ცოტა ხანში ის იარაღის შეძენა-შენახვისთვის დააკავეს

შვილმკვდარ მამას რომ ასეთ რამეს გაუკეთებ, რა ნამუსით უნდა ილაპარაკო იმ 9 წელიწადზე?! ასეთი და ამაზე უარესი ამბები მრავლად არის ჯოლოხავას ჩვენებებში, რომელსაც ახლა სახელმწიფო იცავს, მაგრამ მისი სიცოცხლე მაინც საფ-











გუშინ, 15 მარტს, მისმა მეუღლემ შემდეგი სახის მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღო: "ნინო, ახლა კარგად მომისმინე, ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს. თავს არაფერი დაუშავო, გვანცა ცოდოა უშენოდ. გამაგრდი, გვანცას მიხედე. ორივე ძალიან მიყვარხართ და ორივემ მაპატიეთ".

როგორც კი ეს მესიჯი მიუვიდა, მეუღლემ ოხავას გადაურეკა, მაგრამ ის მის ზარებს არ პასუხობდა. შეშფოთებული ქალი, რომელთანაც მანამდე არანაირი კომუნიკაცია არ მქონია, დამიკავშირდა და დახმარება მთხოვა.

მყისიერად გადავურეკე ჯოლოხავას და ვკითხე, თუ რა იყო ამ შინაარსის გზავნილის მიზეზი.

– რა გიპასუხათ?

– ძალიან ემოციურად მელაპარაკა ჯოლო-ხავა და მთხოვა, რომ მას თუ რამე მოუვიდა, ამ საქმეს მივყვე ბოლომდე. ამის შემდეგ ტელეფონი გამითიშა და ჩემს ზარებს აღარ პასუხობდა.

ცხადია, ამის შესახებ პროკურატურა ჩავაყენე საქმის კურსში. პროკურატურამ მითხრა, ეს ადამიანი სახელმწიფოს დაცვის ქვეშ არის და საშიში არაფერიაო. ამ განცხადებამ პირადად მე ვერ დამამშვიდა. სამწუხაროდ, სახელმწიფოს დაცვის ქვეშ ყოფნა არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანი სანაცვლოდ გამოიყვანეს, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ცრუ ჩვენებები მიეცა.

ლაშა მელიქია, თავის მხრივ, არის თბილისის ყოფილი პოლიციის უფროსის მერაბ ბაღათურიას აღზრდილი კადრი და მისი ახლო ნათესავი. მერაბ ბაღათურია ციხის დირექტორიც იყო და მელიქია სასჯელაღსრულებაში წაიყვანა. როცა ბაღათურია ქალაქის სამმართველოში დაინიშნა, იქ გადაიყვანა. ჯოლოხავამ როგორც მითხრა, მელიქია თავისი ნათესავის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა.

ჯოლოხავას გადმობირება მოხდა 2013 წელს. მაშინ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. ის ამ სისტემაში ბანკიდან და ბიძინას სამყაროდან გადმოვიდა და აქ დილეტანტი იყო. მას პოლიციას ულაგებდა ბაღათურია.

– ასე ენდობოდა ბაღათურიას? – ის ღარიბაშვილის სიმამრ თამაზ თამაზაშვილის ახლო მეგობარია. აქედან გამომდინარე ულაგებდა ბაღათურია მაშინდელ შს მინისტრს პოლიციას. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ჯოლოხავა სწორედ ბაღათურიას კადრმა გადმოიბირა და მას ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ცრუ ჩვენებების მიცემა დაევალა.

ამ სქემაში ჩართული იყო შსს-ს ყოფილი

ანსა და ინაშვილს. მათ მედიას მისცეს კომენტარი.

პროკურატურას შეუძლია იმ საშვის ამოღერომელიც იუსტიციის მინისტრმა დაუშვა ჯოლოხავაზე. რაც არ უნდა მოვინდომოთ, ასე მარტივად ვერ შევხვდებით თეა წულუკიანს. სამაგიეროდ, მასთან ციხიდან 3 დღის გამოსული კაცი

ადრე მოგიყევით, რა ჩვენებების მიცემა დაევალა მას ბაჩო ახალაიას, დათო საყვარელიძის, გიგი კალანდაძისა და სხვათა წინააღმდეგ. ჯოლოხავას მე ვკითხე, ეს სქემა წულუკიანის კაბინეტში ხომ არ დაიწერა. მან მითხრა, წულუკიანამდე დალაგებული ამბავი მივიტანეთო, მაგრამ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს სქემა წულუკიანის მიერ იყო დალაგებული, თან ისე იყო დალაგებული, რომ უკვე დალაგებული მისულიყო იუსტიციის მინის-

ძალიან ჩახლართული ამბავია. ჯოლოხავა დეტალურად აღწერს ამ ყველაფერს თავის ჩვენებებში. ძალიან ბევრი ეპიზოდი დაგროვდა და ყველა ეპიზოდს ჰყავს თავისი გმირები.

ცრუ მოწმემ რაღაც დეტალებზე ტელეეთე რებშიც ისაუბრა, რამაც საზოგადოება შოკში ჩააგდო, მაგრამ ესენი იმასთან შედარებით არაფერია, რაზეც ჩვენებებში ლაპარაკობს. მისი ჩვენებები მთელ რიგ საკითხებში გადამოწმებადია. მე და თქვენ ამას ვერ გადავამოწმებთ, მაგრამ ამას შსს და პროკურატურა მარტივად გააკეთებენ.

შეგიძლიათ გვითხრათ, მის ჩვენებაში რა არის გადამოწმებადი?

- ის ხომ ყვება, რომ რაღაც დავალება მიიღო. სათანადო დოკუმენტაციაში აუცილებლად იქნება მითითებული, რომ აგენტმა მიიღო დავალება, რისთვისაც გაიცა კონკრეტული თანხა. შემდეგ ეს აგენტი საიდუმლო დოკუმენტზე ხელს აწერს, ოღონდ ხელს სახელითა და გვარით კი არ აწერს, არამედ შერქმეული ფსევდონიმით.

ეს დოკუმენტები საზოგადოებისთვის არის บงกდუმლო, อึงგดั้งอี้ งัศง งัศการูทคึ่งผู้ทุศกบั้ง დง ปีกნაგან საქმეთა სამინისტროსთვის. ასე რომ, რასაც ეს ადამიანი ჩვენებაში ყვება, ყველაფერი დადასტუ-

ამ მონაყოლით მე, უბრალოდ, შოკირებული

— ჯოლოხავამ საგამოძიებო უწყებას პირველი ჩვენება 12 მარტს მისცა და მოწმეთა სახელმწიფო დაცვის პროგრამაში ჩასმას ითხოვდა. მთავარი პროკურატურისგან უარი მიიღეთ, მაგრამ დღის ბოლოს ქალაქის პროკურატურამ დაგიბარათ დაკითხვაზე, სადაც გაირკვა, რომ ჯოლოხავას დაცვა დაუნი შნეს. თქვენი აზრით, თავიდან რატომ თქვეს უარი და მერე რატომ დათანხმდნენ?

მთავარ პროკურატურაში მისი დაკითხვა 8 საათს გაგრძელდა, რომლის დასრულების შემდეგ დაცვის გამოყოფაზე უარი ეთქვა. მოწმეთა დაცვის პროგრამა საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა და ამიტომაც ხშირად არ სვამენ მოწმეებს ამ პროგრამაში

– ჯოლოხავას შემთხვევაშიც ამის გამო შეიკავეს თავი?

– ერთ-ერთი მიზეზი ესეც იქნებოდა. მთავარი პროკურატურიდან ჩვენ მივედით სახალხო დამცველის ოფისში, სადაც აღარავინ დაგვხვდა. იმ შემთხვევაში, თუ დაცვას არ დაუნიშნავდნენ, მას სახალხო დამცველის ოფისში ცხოვრება ჰქონდა გადაწყვეტილი. სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა, ყველგან საფრთხე ემუქრებოდა.

ომბუდსმენის ოფისში გვითხრეს, რომ მსგავსი რამე მათ პრაქტიკაში არ ყოფილა. ჩვენ უარი ვთქვით ტერიტორიის დატოვებაზე. იქ მყოფი პირები დაუკავშირდნენ ომბუდსმენს, რომელმაც ალბათ პროკურატურაში დარეკა, წივილ-კივილი ატეხა. ღამის 11 საათზე დაგვირეკეს საქალაქო სასამართლოდან, სადაც მოწმემ 4-საათიანი ჩვენება მისცა. იქვე გვითხრეს, რომ ჯოლოხავა მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართეს. პროკურატურიდან ის დაცვამ გაიყვანა, ცხოვრობს კონსპირაციულ ბინაში.

ახლა მის სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე მთელი პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოს. მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, გოდერძი ჯოლოხავა ძალიან ბევრ ბინძურ საქმეში გამხელთ და კონკრეტულად თქვენი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის, მათ შორის ძალოვანი უწყების მაღალი თანამდებობის პირებს ადებს ხელს! თუ ჯოლოხავას რამე მოუვიდა, მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათ.

21 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲡᲣᲡ-ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲐᲡ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ

რამდენიმე დღის წინ გლდანში ტრაგედია დატრიალდა.

ერთ-ერთ მოზარდს ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა, რის შედეგადაც ახალგაზრდა ქალი დაიღუპა. გასროლა მაშინ მოხდა, როცა მოზარდი მამის კუთვნილ იარაღს ათამაშებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ პირი, რომლის იარაღიც მის არასრულნლოვან შვილს გაუვარდა,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობს, რასაც სუს-შიც ადასტურებენ. მეზობლების ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს 6

შემთხვევის თვითმხილველები ამბობენ, რომ იარაღი ერთ-ერთ არასრულწლოვან შვილს ეჭირა, მეორე კი მის წართმევას ცდილობდა, როდესაც გასროლა მოხდა. შემთხვევითმა ტყვიამ 21 წლის გოგონა იმსხვერპლა, რომელიც მათ მეზობლად ცხოვრობდა. გოგონა სტუდენტი იყო. მეზობლების ინფორმაციით, ის თბილისში ქირით ცხოვრობდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.



ᲒᲘᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ: "ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲓᲐᲜ ᲮᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲒᲖᲦᲣᲦᲝᲗ"

3

_გულიკო ბალაძე

ᲘᲜᲒᲔᲠᲕᲘᲣ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲒᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲜ, ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲒᲘᲘᲡ ᲚᲘᲦᲔᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

– ივანი შვილის მიერ დენდროლოგიური პარკის გაკეთებამ და ხეების გადანერგვის პრო-ცესმა, მოგეხსენებათ, თუ მთლიანად საზოგადოებაში არა, საზოგადოების ნაწილში მაინც უარ-ყოფითი რეაქცია გამოიწვია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ის, რაც კეთდება – დენდროლოგიური პარკი – არის უნიკალური საქართველოსთვის რეგიონული და, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო მას შტაბითაც. საერთოდ, დენდროლოგიური პარკების შექმნა ძვირადღირებული საქმეა. ესიქნება 60 ჰექტარზე გაკეთებული უნიკალური პარკი, რომელშიც იქნება არა მარტო ქართული, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი ჯიშები, მაგალითად, სექუა, რომელიც აფრიკაში ხარობს, მარადმწვანე მუხა, კვიპაროსები, გილელდენდრონი და ა.შ. 159-მდე იშვიათი ჯიშის ხედაირგვება. ფაქტობრივად, 60 ჰექტარზე გაშლი ბიომრავალფეროვნების მუზეუმი გვექნება. რაც მთავარია, საზოგადოებრივი სარგებლობისათვის კეთდება.

– პიძინა ივანიშვილმა დენდროლოგიური პარკი სახელმწიფოს უნდა გადასცეს?

— რა თქმა უნდა. ალბათ, ერთ წელიწადში დამთავრდება. მერე საზოგადოება მიხვდება, რომ ის აჟიოტაჟი, რომელიც ახლაა, რამდენად ხელოვნურად იყო შექმნილი. გასაგებია, რომ საზოგადოებას ძალიან აწუხებს, გიგანტური ხეების გადატანის პროცესში რაც ხდება. ეს ჩვენც გვაწუხებს, მაგრამ, რას იზამ, ეს დიდი საქმეა და მსხვერპლს მოითხოვს.

– თქვენ რატომ გაწუხებთ?

— გვაწუხებს იმიტომ, რომ საზოგადოებაში არასწორ რეაქციას იწვევს. მეორეც — ის
ხეები, რომელთა ფოტოებიც ბოლო დროს გავრცელდა, კერძო საკუთრებაშია შეძენილი. ჩვენთან, კანონმდებლობით, მაგალითად, თქვენს ეზოში ხე რომ იყოს, სრული უფლება გაქვთ, გაყიდოთ, მოჭრათ, არავის აქვს უფლება, შეგზღუდოთ. ერთადერთი, ადგილობრივ მუნიციპალი-

ტეტში უნდა მიხვიდეთ და განაცხადოთ, რომ კონკრეტული ხის მოჭრას აპირებთ. მუნიცი-პალიტეტის ხელმძღვანელმა უნდა გამოაგზავნოს ვიღაც, რომელიც დააკვირდება, ნამდვილად იმ ხეს ჭრით თუ სხვას, ვთქვათ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულს. ის ხეები შეისყიდეს. მთავარი მომენტი ის არის, რომ საზოგადოება წუხდა (ჩვენც ვწუხდით) იმის გამო, რომ ამოღებული ხის ტერიტორიაზე ღრმულები რჩებოდა.

– იმ ღრმულების გასწორება და გაკეთება არ შეიძლება?

— ვალდებულება არსებობს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის გან-საზღვრული. ნიადაგების დაცვის შესახებ კანონით, სამუშაოების შემსრულებელი მხარე ვალდებულია, რეკულტივაცია გააკეთოს. რეკულტივაციით მთლიანად შეიძლება ამ ნიადაგური ფენის აღდგენა. ეს პროცესი დაწყებულია და ბოლომდე მივა.

– თვითონ იქ, სადაც ხეს იღებენ, ბუნებას რაიმე ზიანი არ ადგება?

— რეკულტივაცია ნიშნავს იმას, რომ ერთი ხის ამოღება გარკვეულ ტერიტორიაზე დიდ ცვლილებას არ იწვევს, მაგრამ დაირგვება, აღდგება და გამწვანდება კიდეც. ეს პროექტით არის გათვალისწინებული. ბოლო დროს სოფელ კვირიკეში ჩამწკრივებულ ხეებს თავები რომ აქვს მოჭრილი, პირდაპირ მინდა ვთქვა, როდესაც ფირმას დაკვეთილი აქვს სამუშაოს ჩატარება, ასეთი რამ არ უნდა ჩაიდინოს.

– როგორი?

— კეთილ განზრახვას ასე უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საქმეს უფუჭებს. არადა, კარგად ვიცი, რომ ის ქარსაცავი ზოლები აღდგება, მალემზარდი ხეები დაირგვება.

- ბატონმა ბიძინამ იცის იმ ფირმის მუშაობის შედეგები, რომელიც მის მიერ შეკვეთილ სამუშაოებს ასრულებს? საზოგადოებაში ამის გამო ხმაური და კრიტიკა რომ არის?

— არ ვიცი. მისი გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევა. ფაქტია, რომ იმ დიდ საქმეს (დიდი საქმეა ნამდვილად), რომელიც კეთდება, ცუდად ჩატარებული სამუშაო აფუჭებს. დენდროლოგიური პარკის სიკეთე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ჩვენ ჩავალთ და დავათვალიერებთ, არამედ ახალგაზრდების ეკოლოგიური განათლებისა და ცნო

ბიერების ამაღლებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც მე ვიცი, 2 ჰექტარი გიგანტურ ხეებს დაეთმობა, რომლებსაც სხვა ქვეყნებიდან ჩამოიგანენ. მათ შორის ქართული ჯიშებიც იქნება.

– ხომ არ იცით, დენდროლოგიური პარკის შექმნა მთლიანად რამდენი ჯდება?

– არ ვიცი. პარკს ფონდი "ქართუ" აკეთებს. სახელმწიფო არ ერევა. პარკის მშენებლობა რომ დამთავრდება, სახელმწიფოს საზოგადოებრივი სარგებლობისთვის გადაეცემა და დიდი სიკეთე იქნება. გარკვეულ დაზიანებულ ტერიტორიებზე ჩატარდება აღდგენითი სამუშაოები, სადაც დაზიანდა ქარსაცავი

ზოლი, აღდგება.

 ისე, ბატონო გიორგი, თავს დაგესხნენ,
 თითქოს ბიძინამ რაღაც გაგიკეთათ, რომ სამაგიეროდ დაგეცვათ.

— რას არ გაიგებ, ათას რაღაცას წერენ. ერთი რამ მინდა ვთქვა — ვის არ ლანძღავენ, არ დარჩა საქართველოში პოლიტიკოსი, რომ არ გაელანძღოთ, მით უმეტეს, თუ პატიოსანი ადამიანია, უკანასკნელი სიტყვებით თათხავენ. შედით ნებისმიერი პოლიტიკოსის ფეისბუქზე და ნახეთ,

როგორ ლანძღავენ, უკანასკნელი სიტყვებით იგინებიან, ხან კარიკატურებს ხატავენ, მაგრამ ამას ყურადღება არავინ უნდა მიაქციოს მე-18 საუკუნის უზარმაზარმა მოაზროვნემ, გოეთემ, თქვა, თუ მიზნისაკენ მიდიხარ და გზად შეჩერდები, რომ ყველა ძაღლს, რომელიც შენ გიყეფს, ქვა ესროლო, მიზნამდე ვერ მიაღწევო. მინდა, ეს ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც სიკეთესა და ქვეყნისთვის დიდ საქმეს აკეთებენ, იმ ლანძღვას ყურადღება არ უნდა მიაქციონ, თორემ, თუ ჩაგითრიეს, საშინელება მოხდება. ფეისბუქზე ამიტომ დავდე მარკ ტვენის სიტყვები: არასოდეს ეკამათო იდიოტებს. თუ ლანძღვის, შეურაცხყოფის, არაკვა-

ლიფიციური შეფასებების დონეზე დახვედი, აუცილებლად ისინი გაჯობებენ, იმიტომ რომ ეს მათი ინტერესის არეალია. იქ არც პროფესიონალიზმს აქვს აზრი, არც ქვეყანაზე

მე, რა თქმა უნდა, შენუხებული ვარ იმით, რომ სამუშაოების შემსრულებელმა ფირმამ ხეების გადატანასთან დაკავშირებით დავალება არაკვალიფიციურად შეასრულა. ამით ძალიან აფუჭებს ძალიან კარგ საქმეს. ხეების გადატანა მთელ მსოფლიოში მიღებულია, პირველად საქართველოში ხომ არ ხდება.

სატყეო დეპარტამენტი ოფიციალურად საქართველოს ტყეებში ყოველწლიურად ათეულობით კილომეტრის სიგრძის გზას აკეთებს. ტყეებში გზები აუცილებელია, იქ სამეურნეო საქმიანობა რომ აწარმოოს – ზოგი ხემოჭრას, ზოგი – გამოიტანოს სამეურნეო საქმიანობისთვის, მოსახლეობის შეშისთვის.

– სააკაშვილის დროს გარკვეული ტყეები ჩინელებს ხომ გადაეცათ. ატარებს ვინმე მონიტორინგს, ჩინელების კონტროლირებად ტყეებში რა ხდება?

— ჩვენ მრავალწლიანი იჯარების გაცემა შევაჩერეთ. სააკაშვილმა ტყეები 49-წლიანი იჯარით გასცა სხვადასხვა ფირმაზე, ჩინელებსა და სხვებზე, მაგრამ, ფაქტობრივად, საკუთრებაში მისცა. 49 წლით იმიტომ მისცა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ტყეებზე კერძის საკუთრება აკრძალულია.

ძო საკუთრება აკრძალულია.

— ხელშეკრულებები გააუქმეთ თუ ახალი აღარ გაუფორმეთ?

მაგ ხელშეკრულების გაუქმება რთული იქნება, რადგან იჯარით არის გადაცემული და საერთაშორისო სასამართლოები მოჰყვება. ხელშეკრულებების გასაუქმებლად პროცესის წამოწყება შეიძლება, მაგრამ მარტივი პროცესი არ იქნება. ეს იოლი საქმე არ არის.

– ბოლო დროს ჰესებთან დაკავშირებით მოსახლეობაში ვნებათაღელვაა, აქციებს მართავენ. მაგალითად, სვანები აპროტესტებდნენ სვანეთში დიდი ჰესების მშენებლობას. ხალხს ნამუხვანჰესის მშენებლობა არ უნდა. დიდი ჰესების მშენებლობაზე თქვენი აზრი როგორია?

— მწვანეთა პარტია ყოველთვის იყო დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის აუცი-



ლებელია საშუალო და მცირე ჰესების მშენებლობა, სხვაზე დამოკიდებული რომ არ ვიყოთ. ჩვენიც ხომ უნდა გვქონდეს რაღაც. ჰიდრორესურსები გვაქვს. ამიტომ ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე საშუალო და მცირე ჰესების მშენებლობის მომხრე ვართ. ყოველთვის ასეთი მიდგომა გვქონდა. პარალელურად, ალტერნატიული ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამომუშავება უნდა შევძლოთ. ქარის, მზის ენერგია უნდა გამოვიყენოთ.



ᲛᲔᲠᲘᲐ: "ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲘᲒᲕᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐ"

— არ ვიცი ბატონი ლევან გაჩეჩილაძის არც შემოსავლები და არც გასავლები, ამის შესწავლა არ არის ჩვენი სამსახურის კომპეტენცია. — ლიონერია და შეისწავლა თუ არა მერიამ დაფი-

ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა, გელა ჩივიაშვილმა, განუცხადა.

მისი ინფორმაციით, თბილისის მერია არ არის პირველი, ვინც გაჩეჩილაძე დააფინანსა. ჩივიაშვილს არ ესმის, რატომ გახდა სალაპარაკო, რომ ადამიანი, რომლის სიცოცხლის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, მერიამ დააფინანსა.

— რეალურად, გვარისა და სახელებისთვის ყურადღება არასოდეს მიგვიქცევია. ჩვენ დავაფინანსეთ ასევე გიო ხუცი შვილი და ვანო ზოდელავა. დავაფინანსეთ ის ადამიანები, რომლებსაც კონკრეტულ სიტუაციაში მძიმე დაავადება აქვთ. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის მეოთხე სტადიის ონკოლოგიური დაავადება. როცა დაავადების მკურნალობისთვის ასიათასობით ლარია საჭირო, რეფერალური გადახდით ხდება ამ ადამიანების დაფინანსება.

კონკრეტულ შემთხვევაშიც ანალოგიური ფაქტი იყო. გაურკვეველია, რატომ გახდა აჟიოტაჟის საგანი. ვინაიდან ანალოგიური ფაქტები ადრეც იყო. არაერთი ადამიანი, მათ შორის მერიის მაღალჩინოსანი იყო დაფინანსებული. რა თქმა უნდა, იმას კი არ ვაკრიტიკებთ, თუ რატომ მოხდა ონკოლოგიური ავადმყოფების დაფინანსება, უბრალოდ, გასაკვირია, რატომ გახდა სალაპარაკო, რომ ადამიანი, რომლის სიცოცხლის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, დააფინანსა მერიამ, – განაცხადა ჩივიაშვილმა. რომ ლევან გაჩეჩილაძე დეკლარირებული მილიონერია და შეისწავლა თუ არა მერიამ დაფინანსებამდე ეს საკითხი, ჩივია შვილმა უპასუხა, რომ "შემოსავლები და გასავლები მისი სამსახურის კომპეტენცია არ არის".

– არ ვიცი ბატონი ლევანის არც შემოსავლები და არც გასავლები, ამის შესწავლა არ არის ჩვენი სამსახურის კომპეტენცია. პირადად მე ვფიქრობ, რომ მძიმე ონკოლოგიური დაავადების მკურნალობა უნდა დაფინანსდეს. ადამიანის მკურნალობა და ჯანმრთელობა განსჯის საგანი არ უნდა გახდეს, – აღნიშნა სამსახურის უფროსმა.

კითხვაზე, ხომ არ გეგმავს მერია, გადახედოს დაფინანსებამდე მიზნობრიობის საკითხს და მოქალაქის ფინანსურ მდგომარეობას, ჩივიაშვილმა უპასუხა, რომ არსებობს პროგრამები, რომელთა განხორციელებისას ამის შესწავლა ხდება.

— არსებობს მიზნობრივი პროგრამები, რაც ცხადია ამას გულისხმობს, მაგრამ, როდესაც არის რეფერალური დაფინანსება, ან სარეზერვო ფონდიდან დაფინანსება, ეს გულისხმობს სხვადასხვა ადამიანების დახმარებას და შესაბამისად, ეს არ ითვალისწინებს დეტალურ შესწავლას. ასეთ დროს დაფინანსება ხდება კონკრეტულ მომენტში, ორ სამ დღეში შეიძლება ადამიანს ოპერაცია ჰქონდეს დანიშნული, ან შეიძლება გადაუდებლად ჰქონდეს



გაკეთებული და უკვე ჰოსპიტალიზებული იყოს. ასეთ დროს აღარ რჩება დრო, რომ შეისწავლო. ამ შემთხვევაში ეს არის რეფერალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, რომ კონკრეტულ მომენტში, კონკრეტულ ადამიანების დახმარება მოხდეს, მიუხედავად მათი სტატუსისა. ბატონი ლევანი ჯანდაცვის სამინისტრომაც დააფინანსა 16.000 ლარით, შესაბამისად, მერია არ არის ერთაღერთი უწყება, რომელმაც ის დააფინანსა

2010 წლიდან დაწყებული ხდებოდა ადამიანების დაფინანსება, მათ შორის საკმაოდ მსხვილი თანხებით. ეს ხდებოდა იოსაც და, როდესაც ადამიანის სიცოცხლე

იმ ხელისუფლების დროსაც და, როდესაც ადამიანის სიცოცხლე არის რისკის ქვეშ, ეს განკითხვის საგანი არ უნდა გახდეს, – განაცხადა ჩივიაშვილმა.

სამსახურის უფროსის მტკიცებით, გაჩეჩილაძე მერიის სარეზერვო ფონდიდან პირველად დაფინანსდა და მანამდე მისი მხრიდან მიმართვაც კი არ ყოფილა.

თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის, ლევან ხაბეიშვილის, ინფორმაციით, თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან ლევან გაჩეჩილაძე 30 ათასი ლარით დაფინანსდა, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვას წარმოადგენს.



"ᲠᲐᲦᲐ ᲒᲐᲥᲡᲘᲡᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘ 34M9C4N6 106M ACX ,NEtCPCt (C6CP6MAE

ნონა ცაბაძე

ტაქსებზე რეგულაციები მკაცრდება. სხვა რეგულაციებს ემატება ისიც, რომ ტაქსის აუცილებლად უნდა ჰქონდეს მრიცხველი.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, დღეს თბილისში 40 ათასზე მეტი ტაქსი მოძრაობს. მათი დიდი ნაწილი კი გაუმართავი და მოუწესრიგებელია.

ახალ რეგულაციებს დადებითად ხვდებიან ტაქსის კომპანიები. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ბაზარს გააუმჯობესებს, თუმცა ბევრი ტაქსის მძღოლი მიატოვებს ამ საქმიანობას და ამან შესაძლოა დეფიციტი შექმნას ქალაქში. ასევე

გაძვირდება მომსახურებაც. დღეს ტაქსების მოძრაობა სახელმწიფოს მხრიდან არ რეგულირდება, არ არის სპეციალური ლიცენზიები და გადასახადები. ამ დრომდე ტაქსის მძღოლობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ცნობილია ისიც, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების

გამო ძალიან ბევრი ადამიანი სწორედ ამ საქმი-

ანობით არჩენს ოჯახს. ძალიან მალე რეგისტრა-

ცია და ლიცენზიის აღება ყველა მძღოლისთვის

რომ ეს ცვლილებები დროულია. ეს ბაზარს

დაარეგულირებს, თუმცა ავტომობილების დე-

ძალიან ბევრ მძღოლს გაუჭირდება ახალ რეგუ-

ლაციებზე გადაწყობა. არ არის გამორიცხული,

ბევრმა კომპანიამ მოთხოვნებიც ვერ დააკმაყო-

ფილოს და ბაზარი დატოვოს. ასევე მიიჩნევენ,

რომ ნებისმიერ ახალ რეგულაციებს თან ახლავს

დიდი პროტესტი, ამიტომ ქალაქის მთავრობის

მხრიდან ყველაფერი კარგად უნდა იყოს გააზრე-

კითხვაზე, თუ რას ფიქრობს მომხმარებელი ახალ

რეგულაციებზე, არაერთგვაროვანი პასუხები მი-

ბი ხშირად ქმნიან ქალაქში საცობებს. ტაქსის

თამუნა, 29 წლის:

"ახალი თაობის" მიერ ჩატარებულ გამო-

– მივესალმები ასეთ რეგულაციას. ტაქსე-

ფიციტსა და ფასების ზრდას გამოიწვევს.

ช้องปู่นักน์ มูกติชิงธิ์กง "200-200"-ซีก อีกงหิธีกงตา

ზოგიერთ კომპანიაში კი თვლიან, რომ

სავალდებულო გახდება.

ტომობილებით მოძრაობს და გარემოს

– შესაძლოა ახალმა რეგულაციებმა მომსახურების ტარიფები გაზარ-

– მაინც რეგულაციის მომხრე ვარ. თუ კომპანიის ტაქსი არ გამოიძახე, ისე მგზავრობა შეუძლებელია. უკაცრავად და ხშირად ტაქსის მძღოლს ვერც ჩაუჯდები სალონში, ისეთი სუნია და ავტომობილი იმდენად ბინძურია. აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს ეს სფერო.

ნანა, 53 წლის:

– ხშირად მიწევს ტაქსით გადა-ადგილება. სამსახური საკმაოდ შორს მაქვს, საზოგადოებრივი ტრანსპორტიც არ მიდის ბოლომდე. ამიტომ, იძულებული ვარ, ხშირად ვიარო ტაქსით.

– ბევრი უკმაყოფილოა, ტაქსე-ბის უმრავლესობა მოუწესრიგებელია, ცუდი სუნია ავტომობილში და ასე შემდეგ.

– მეც ხშირად გამიშვია რამდენიმე ტაქსი და სხვა გამიჩერებია. თუმცა, როცა ვაგვიანებ, რჩევის დრო არ არის და გამართლებაზეა. მთელი ისტორიები მაქვს მძღოლებთან დაკავშირებით.

– ხშირად გხვდებათ უჟმური მძღოლი?

დღეს ისე უჭირს ყველას, განსაკუთრებით ამ პროფესიის ადამიანს, რომ ვერც უსაყვედურებ, რატომ არა ხარ ხასიათზეო. თუმცა, ხშირად შემხვედრია ძალიან

განათლებული და ჯენტლმენი მძღოლები. ზოგი თვითონ ცდილობს შენთან საუბრის წამოწყებას, ზოგიც ისეთი რისხვით შემოგხედავს, რომ გაღიმებასაც ვერ გაბედავ.

– მალე რეგულაციები ამოქმედდება. მიესალმებით მერიის ამ ინიციატივას?

– ძალიან კარგია, თუ ეს სფერო მოწესრიგდება. თუმცა, ამის გარდა, იმდენი პრობლემაა ქალაქში, რომ მხოლოდ ეს რას უშველის.

– საცობებიც განიმუხტებაო. – საცობებს ნუ გამახსენებთ, บงชะปีก องอัศๆชีฏองบั จักลูหูฏัค บงงთებს ვანდომებ. თუმცა, ის ხალხიც ძალიან მეცოდება, რომლებიც ამ საქმიანობით ოჯახებს ინახავენ. ალბათ ისეთი გზები უნდა მოინახოს, რომ არც ეს ხალხი დაზარალდეს და ლუკმაპურის გარეშე არ დარჩეს.

"ახალი თაობა" რამდენიმე ტაქსის მძღოლსაც გაესაუბრა: ზურა, 44 წლის:

– ალბათ იცით უკვე, რომ მერია ახალ რეგულაციებს აწესებს.

– საიდანლაც ხომ უნდა დაიწყონ? – მაინცდამაინც ტაქსის მძღოლებს რატომ გვეცნენ?! ორ კაპიკს ვშოულობთ, რომ ოჯახები ვარჩინოთ. იცით, ოჯახში ჩემ გარდა ხუთი სული ცხოვრობს და მხოლოდ მე ვმუშაობ. ამასაც თუ

– *ტაქსის კომპანიაში მუშაობა არ გიცდი-*

– არა. ასე მირჩევნია, როცა მინდა, მაშინ ვმუშაობ, თანაც ასე მეტი მრჩება. ნახევარი თუ კომპანიას მივეცი, შვილებს რაღა ვაჭამო?!

– დაახლოებით რა თანხას შოულობთ დღე-

დღეს გააჩნია. ყოველთვის არ გიმართლებს. შეიძლება, ერთ დღეს 100 ლარი მიიტანო სახლში და მეორე დღეს 20 ლარიც ვერ იშოვო. მე ვცდილობ, საღამოს საათებში და ხშირად შუაღამემდეც ვიმუშაო. ღამით საცობები არ არის და საწვავსაც ნაკლებს ვწვავ.

რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

- რაღა ჩვენთვის მოიცალა კალაძემ. ამდენი პრობლემაა ქალაქში, ჯერ იმას მიხედოს.

მუშაობა ჰქვია.

ტაქსის მძღოლებს მოუწესრიგებელი



ავტომობილები ჰყავთ, ცუდი სუნია და პინძურიაო, ძალიან ბევრი მგზავრი ჩივის.

– ჩემს ავტომობილზე ამას ვერავინ იტყვის. აი, თქვენი თვალით ნახეთ, რა მდგომარეობაშია. ვცდილობ, ყოველთვის წესრიგში მყავდეს და ამის გამო მგზავრი არ დავკარგო.

რეგულაციები დაგაზარალებთ?

 ძალიან. ბევრ მძღოლს მოუწევს ამ საქმიანობაზე უარის თქმა. ჩემი ავტომობილი შედარებით ახალია. ძალიან ბევრი ისეთი ტაქსი მოძრაობს თპილისში, რომ ისინი ამ რეგულაციებს ვერ გაივლიან. ჯერჯერობით ჩუმად არიან, მაგრამ, უკვე პირადად რომ შეეხებათ, მერე დიდი ამბები მოჰყვება

ვაჟა, 63 წლის:

მე ტაქსის კომპანიაში ვმუშაობ. ყველა ამ რეგულაციას თავად კომპანია მიხედავს. სიმართლე გითხრათ, მთავრობა დიდ ფულს გააკეთებს ამ ახალი რეგულაციებით.

– კომპანიები არ დაზარალდებიან ამით? – ისე არა, როგორც კერძო პირები. ბევრ კომპანიას ალბათ აწყობს კიდეც ასეთი რეგულაციები, რადგან დღეს ძალიან ბევრი ტაქსია ქალაქში და მერე ასე აღარ იქნება, კონკურენტებს ჩამოიშორებენ.

– გაძვირდება ტაქსით მომსახურება**?**

– რა თქმა უნდა, გაძვირდება. აბა, ამხელა გადასახადებისა და რეგულაციების მერე ტა-რიფს იმავეს ვინ დატოვებს?! მართალია, კომპანიაში ვმუშაობ, მაგრამ ეს ამბავი ნამდვილად არ მახარებს. რეგულაციების ამოქმედება ძალიან ბევრ ადამიანს უმუშევარს დატოვებს და ჩვენს გაჭირვებულ ხალხს კიდევ ეს უნდა? ამას არ მოჰყვება კარგი ამბები.

– ასაკობრივი ზღვრის დაწესებაზეც საუბრობენ და ამ შემთხვევაში ეს თქვენ არ შეგეხე-

– ჩვენს კომპანიაში ნახევარზე მეტი პენსი-

ვისაც მუშაობა შეუძლია, უნდა იმუშაოს, რატომ უკრძალავ?! ვისაც არ შეუძლია, ის ისედაც სახლში ზის. რადგან პენსიონერია, ამიტომ შიმშილით უნდა მოკვდეს? თუ იმხელა პენსია გვაქვს, რომ უზრუნველად შეძლებ ცხოვრებას?! ფრთხილად იყოს კალაძე. ამ ქალაქში იმდენი ტაქსის მძღოლია, რომ მარტო მათი აქციებიც ეყოფა!

– ფიქრობთ, აქამდე მივა საქმე**?** – მივა, როგორ არ მივა. თითო მძღოლის უკან მინიმუმ 4-5 ადამიანი დგას. ეს ხალხი ოჯახებს ინახავს. დაასაქმონ მაშინ. გგონიათ, გვეხალისება ტაქსაობა?! თვითონ პრემიებსა და ხელფასებს ვეღარ ითვლიან და საწყალ ხალხს ჯიბეში უძვრებიან.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲓᲐ LᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗL ᲐᲮᲐᲚ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑL ᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ რას მოიტანს ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე სამხედრო წვრთნები



ვიღეთ

მარიამ მჭედლიშვილი

აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთს ახალ ბრალდებებს უყენებენ. კერძოდ, სომხეთი აპროტესტებს 12 მარტს აზერბაიჯანის მიერ დაწყებულ სამხედრო წვრთნებს 25 ათასი სამხედროს მონაწილეობით და აცხადებს, რომ ეს ეწინააღმდეგება ბაქოს მიერ ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს. აზერბაიჯანი, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ სწავლება სრულად შეესაბამება ეუთოს დოკუმენტებს.

ექსპერტების ნაწილი ყარაბაღში, დაგეგმილი სამშვიდობო მოლაპარაკებების მიუხედავად, ახალ ომს პროგნოზირებს.

აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებათა პროცესი უფრო ინტენსიური გახდება. არიან



ომის განახლების მოსურნეები. მათ მიაჩნიათ, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე კარგი მომენტია კავკასიაში ბრძოლის განახლებისათვის.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მონესრიგების ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე აშშ-ის მხრიდან ენდრიუ შეფერი აღნიშნავს, რომ ამ რეგიონის დღევანდელი სტატუსკვო დიდხანს ვერ შენარჩუნდება. მხარეებს გადაწყვეტილების მიღება

აზერბაიჯანის პარალელურად, სატანკო წვრთნები წამოიწ-ყო ყარაბაღის სეპარატისტულმა წარმონაქნმა. როგორც ცნობილია, სტეპანაკერტს იარაღსა და სამხედრო ტექნიკას რუსეთი

ომი ყარაბაღში 2016 წლის აპრილში განახლდა. მაშინ მოგვარების პროცესში მთავარი შუამავლის როლი კრემლმა საერთაშორისო საზოგადოება. საკითხით დაინტერესდა უცხოუ-

სტატიამ მთიან ყარაბაღზე, რომელიც ამერიკულ პრესაში დაიბეჭდა, ბაქოში აღშფოთება გამოიწვია. სტატია ეკუთვნის სომხეთში აშშ-ის ელჩ ჯონ ევანსს.

ევანსი წერს, რომ მთიანი ყარაბაღის ბედი მეოცე საუკუნის დასაწყისში გადაწყდა – ის აზერბაიჯანს 1921 წელს სტალინმა მიუერთა.

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ამ პე-რიოდში სტალინი ბოლშევიკური კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგითი წევრი იყო. 1921 წლის 5 ივლისის პარტიის კავკასიის ბიუროს პლენუმზე მას ხმის უფლება არ ჰქონდა. ამ სხდომამ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში და-

სხვა ექსპერტების ინფორმაციით, სტალინს იმ დროს გარ-

კვეული უფლებები ჰქონდა. ასე მაგალითად, მან წამოაყენა წინადადება, გაეცათ დირექტივა სერგო ორჯონიკიძისათვის. ეს მოხდა მაშინ, როცა ჩაითვალა, რომ საქართველოში რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა. ორჯონიკიძეს აჯანყებისათვის მომზადება

კომპარტიის პარტიის კავკასიის ბიურომ პლენუმზე დააყენა მთიანი ყარაბაღის სომხეთის შემადგენლობაში დამტკიცების საკითხი. მეორე წინადადებით, ეს რეგიონი აზერბაიჯანში რჩებოდა. საკითხი გადაიდო. საბოლოოდ, პლენუმზე სტალინის მონაწილეობით გადაწყდა, რომ მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მთიანი ყარაბალი ფართო ავტონომიური უფლებებით დარჩებოდა აზერ-

დისკუსიის გახსნა ამ თემაზე იმის მანიშნებელია, რომ ეს თემა მეტად აქტუალური ხდება არამარტო კავკასიისთვის.



რას ნიშნავს, როცა მთავრობის ფასიანი ქაღალდების 86%-ს კომერციული ბანკები ფლობენ? რა ზიანს აყენებს ეს მოსახლეობის ფართო ფენას და ვისი ინტერესები იკვეთება არათანაბარი კონკურენტული გარემოს განვითარებაში? — აღნიშნულთან დაკავშირებით "კომერსანტი" დარგის სპეციალისტებს დაუკავშირდა. აბსოლუტური უმრავლესობის მოსაზრებით, ფასიანი ქაღალდების ბაზარი მოსახლეობის ფართო ფენისთვის ხელმიუწვდომელია და ეს მათ შემოსავლებზე მკვეთრად უარყოფითად აისახება.

— აუქციონის დებულებაში ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ მოახერხეს და ჩაწერეს, რომ მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კომერციულ ბანკებს, ანუ დანარჩენი ინვესტორები ხელოვნურად "მოტეხეს". თეორი-



ულად რჩება მხოლოდ იმის შანსი, რომ კომერციული ბანკის საშუალებით ვინმემ იყიდოს ეს ფასიანი ქაღალდები, მაგრამ როცა შუამავალი ინსტიტუტი ბანკი და მისი ინტერესებია, მერწმუნეთ, მის გარდა ვერავინ გაიხარებს და ასეც ხდება, — განმარტავს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი კომპანია "სი ეს არის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ სვანაძე.

მისივე თქმით, სახელმწიფო გადაიქცა კომერციული ბანკების ინტერესების გამტარებლად ყველა დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონში აქტიურად იქნებოდა ჩართული სხვადასხვა მხარე, მათ შორის მოსახლეობაც და შედეგად სესხებიც ნაკლებ პროცენტში გაიცემოდა.

მთავარი პრობლემა რომ მოსახლეობის ჩართულობის ფაქტობრივი არარსებობაა, ამას ადასტურებს საბროკერო კომპანია "კავკასუსს ჯგუფის" დამფუძნებელი გოგი ლოლაძეც. როგორც მან "კომერსანტთან" აღნიშნა, მნიშვნელოვანია ბანკებთან ერთად აუქციონზე დაშვებულ იქნენ საბროკერო კომპანიებიც, რომლებიც მოსახლეობის ფართო ფენებს სხვადასხვა ფასიან ქაღალდებს სთავაზობენ.

— დღეს საბროკერო კომპანიებს არ აქვთ პირდაპირი წვდომა აუქციონზე, ამიტომ იძულე-ბულნი ხდებიან ბანკების მეშვეობით იმოქმედონ, ორმაგი შუამავლობა კი კლავს ჯანსაღ კონკურენციას, რადგან საქმე ბანკთან გაქვს. მოსახლეობის ფართო ფენებს რომ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკა-

ში, ამისთვის იმ ლიკვიდური, კორ-პორატიული ფასიანი ქაღალდებით უნდა ვისარგებლოთ, რომელთა ნომინალი არის მცირე. დღეს მხოლოდ მსხვილნომინალიან ფასიან ქაღალდებს ვხვდებით, — განმარტავს ლოლაძე.

სამთავრობო ფასიანი ქაღალდები რომ მიუწვდომელია მესამე პირისთვის, ამ მოსაზრებას იზიარებს საბირჟო საქმის სპეციალისტი ვახტანგ ხომიზურაშვილიც. მისი თქმით, ასევე აღსანიშნავია ის, რომ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს ძირითადად ბიუჯეტის დაფინანსებისთვის იყენებს, თუმცა მას სხვა დანიშნულებაც აქვს — კონკრეტული

საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეგიონების განვითარება და ა.შ. აღნიშნული მიმართულება კინაკლებ არის ათვისებული.

— საქმე ის არის, რომ სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მეორადი მიმოქცევა არ არის
მოწესრიგებული. ეროვნულ ბანკს შეუძლია დააგირაოს ეს ქაღალდები, მაგრამ ყიდვა-გაყიდვა
იგივე ბანკების მეშვეობით ხდება, ამიტომ კაპიტალის ბაზრის ეს ნაწილი მოუწესრიგებელია.
რაც შეეხება უშუალოდ კომერციულ ბანკებს,
ისინი არიან პირველადი დილერები, ნებისმიერ
შემთხვევაში აუქციონზე ჩართულობა მესამე პირებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ, რაც დღეს
შეზღუდულია, — განმარტავს ხომიზურაშვილი.

□ ひんしゃ□ ひんりゃ□ ひんりゃ

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა კანონპროექტი "საქართველოს ორგანულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" და მისი თანმდევი კანონპროექტები პირველი მოსმენისთვის განიხილა.

როგორც კანონპროექტების ერთერთმა ინიციატორმა, პარლამენტის წევრმა კახაბერ კუჭავამ განაცხადა, ხუთი კანონპროექტისგან შემდგარი საკანონმდებლო პაკეტის მიზანია, მაქსიმალურად განტვირთოს და უფრო მოწესრიგებული გახადოს საგზაო მოძრაობა დედაქალაქში.

– ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესატანი ცვლილებები ით-

ვალისწინებს თბილისის მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრას საავტომობილო მოძრაობის სფეროში, კერძოდ: გასცეს ნებართვა მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით გადაყვანაზე, დაადგინოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქუჩების ჩამონათვალი, სადაც ავტობუსები გაჩერდებიან მხოლოდ გაჩერებებზე

ნარმოდგენილი ცვლილებებით, თბილისში ტრანზიტული მოძრაობის წესის დარღვევაზე ჯარიმა 20 ლარიდან 500 ლარამდე იზრდება; დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაობა დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით გამოინვევს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით; ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მხრიდან დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ ქუჩებზე დადგენილი გაჩერების წესის დარღვევა გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მმღოლის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით; დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ ქუჩებზე სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების ავტობუსის გაჩერებებზე გაჩერებისთვის ან დგომის წესის დარღვევისთვის გათვალისწინებულია 50-ლარიანი ჯარიმა; მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით გადაყვანის განხორციელებაზე უნებართვო ან სანებართვო პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებულია 200-ლარიანი ჯარი-

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკითხის ირგვლივ დაისვა შეკითხვები და გამოითქვა მოსაზრებები. კანონპროექტების ინიციატორმა, პარლამენტის წევრმა, კახაბერ კუჭავამ კომიტეტის წევრების შეკითხვებს უპასუხა. კომიტეტის წევრებმა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დაუჭირეს შემოთავაზებული ცვლილებების პლენარულ სხდომაზე განხილვას.

კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა გაბუნიას, მერაბ ქვარაიას და გოგა გულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული "საჯარო
დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე" კანონპროექტი, პროექტის ერთ-ერთმა
ინიციატორმა, გოგა გულორდავამ წარმოადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, კანონპროექტის მომზადება "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირად საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე
განისაზღვრა.

მისივე განცხადებით, აღნი შნული თანამდებობის პირებისთვის "საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონში
თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის დაწესების გამო, მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი,
რომლის შესაბამისად, კანონის №4.1 ცხრილს
ემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და მისი თანამდებობრივი
სარგოს ზედა ზღვარი განისაზღვრება 3.0 კოეფიციენტით, ხოლო №4.2 ცხრილს დაემატება
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა 2.0 კოეფიციენტის ზედა
ზღვრით.

კომიტეტმა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი "გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" მესამე მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა.

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲘᲖᲐᲠᲐᲚᲐ

ბანკ "ქართუსთვის" თებერვალი ზარალიანი აღმოჩნდა. ამ თვეში 1მლნ-ზე მეტით იზარალა. 1მარტის მდგომარეობით, კი ზარალის მოცულობა 738.372 ლარს შეადგენს.

ბანკის პორტფელი 812 მლნ ლარს შეადგენს, რაც მხოლოდ კორპორაციული სესხებია. დეპოზიტების მოცულობა 633 მლნ ლარია.

ბანკს 1.124 მლრდ ლარის აქტივები აქვს და 3.3%-იანი წილით მილიარდიანი აქტივების ბანკებში მეშვიდეა.

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲛ ᲘᲐᲤᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲒᲨᲘ ᲬᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ 1.430.342 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲥᲐᲠᲒᲐ

ბათუმის მერიის მიერ 2015 წელს მიღებული არასწორი გადაწყვეტილების გამო ქალაქმა გადასახადის გადამხდელთა 1.430.342 ლარი ჩადო პროექტში, რომელიც არ განხორციელდა.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის მიხედვით, კითხვის ნიშნებს ბადებს ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მერიამ შეარჩია ტენდერში მონაწილე კომპანია და რომელსაც თანხა ჩაურიცხა ავანსად, იმის მიუხედავად რომ არსებობდა მაღალი ალბათობა, რომ შერჩეული კომპანია ნაკისრ ვალდებულებებს ვერ შეასრულებდა.

2015 წლის 29 მაისს ბათუმის მერიამ წარადგინა ახალი პროექტი,

საკუთარი სახლის არმქონე და ბარაკებში მცხოვრები ბათუმელებისთვის აშენდებოდა 4 კორპუსი, რომლებსაც აღნიშნული პირები გრძელვადიანი ხელშეკრულების შედეგად გამოისყიდიდნენ. პროექტის ღირებულება 4.4 მილიონი ლარი იყო.

ამ კორპუსების აშენების ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი — აზერბაიჯანის რესპუბლი-კაში რეგისტრირებული კომპანიის ფილიალი "კონვენტ ჯორჯია" 30, რომლის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 4.279.990 ლარი.

სატენდერო პირობებით მოთხოვნილი იყო კომპანიის გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის ჩვენება. მოთხოვნას წარმოადგენდა კონკრეტულად საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გამოცდილება.

კონვენტმა კი წარადგინა აზერბაიჯანში საირიგაციო სისტემის, ელექტროობის, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მონტაჟის შესახებ გამოცდილება. კონვენტმა ასევე არ წარადგინა ამ დოკუმენტების ნამდვილობის დამადასტურებელი დასკვნა. აუდიტის შეფასებით ეს იყო სათანადო მიზეზი კონვენტის დისკვალიფიკაციისთვის, თუმცა



მერიამ მას დისკვალიფიკაცია არ მისცა და ხელშეკრულებაც გაუფორმა.

იაც გაუფოოია.
გამარჯვებულ კომპანიას ავანსად მილიონზე მეტი გადაეცა, 2016 წელს კი კონტრაქტი შეუწყდა და პირგასამ-ტეხლო დაეკისრა. პროექტზე მერიამ 1.430.342 ლარით იზარალა.

ᲗᲐᲜᲮᲐ, **ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ** ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲔᲜ



ონკოლოგია, ონკოჰემატოლოგია და ტრავმატოლოგია-ორთოპედია მედიცინის ის დარგებია, რის
გამოც გასულ წელს საქართველოდან ყველაზე მეტი
პაციენტი გავიდა.

გასული წლის 9 თვეში საზღვარგარეთ მკურნალობაზე 3 მილიონზე მეტი თანხა დაიხარჯა. მათ შორის ყველაზე მეტი 1 მილიონამდე ლარი ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობას მოხმარდა. მეორე ადგილზე 450.989 ლარით

ტრავმატოლოგია-ორთოპედიაზე გაწეული ხარჯები მოდის. მესამეზე კვლავ ონკოჰემატოლოგია – 379.805 დახარჯული ლარით.

რის სამკურნალოდ გადიან პაციენტები საქართველოდან და რა თანხა იხარჯება ყოველწლიურად საზღვარგარეთ მკურნალობაში – "საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიამ" შეისწავლა.

მილიონობით ლარი დაიხარჯა საზღვარგარეთ ჩატარებულ მკურნალობაზე გასულ წლებშიც.


2016 წელს საზღვარგარეთ მკურნალობაზე 6.245.361 ლარი დაიხარჯა, 2015 წელს კი — 4.577.793 ლარი. 2017 წლის მსგავსად, წინა წლებშიც ონკოლოგია, ონკოჰემატოლოგია და ნევროლოგია ლიდერობს.

ᲛᲐᲒᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲡ

მაგთი არაკორპორატიული აბონენტებისთვის მობილურ ინტერნეტს აღარ გააძვირებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაურმა აცნობა.

ა იეენერის იცირის. – ჩემი ინფორმაციით, ტარიფი აღარ გაძვირდება, – განაცხადა ბექაურმა.

შეგახსენებთ, რომ მობილურ ინტერნეტზე გაზრდილი ტარიფი ძალაში 18 იანვარს უნდა შესულიყო, თუმცა ამ პროცესის 1 მარტამდე გადავადება კომპანიას მარეგულირებელმა კომისიამ სთხოვა. უფრო ადრინდელ განცხადებაში, მარეგულირებელმა კომისიამ მაგთის ამ სურვილს, საბაზრო კანონზომიერების ფარგლებს გაცილებული" უნოდა. მოგვიანებით, ტარიფების ამოქმედება კიდევ ერთხელ გადავადდა, რის მოტივადაც საკითხის შესწავლა სახელდებოდა. დღეს კი ირკვევა, რომ მაგთიმ მობილური ინტერნეტის გაძვირებას საერთოდ აღარ აპირებს.





ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔᲛ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ ᲪᲐᲓᲐ

"მას პროკურატურა კაბინეტში სექსის ამსახველი კადრებით აშანტაჟებდა"

საკრებულოს ყოფილმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თვითმკვლელობა ცადა.

ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული მაღალჩინოსნის ადვოკატი, ედიშერ ქარჩავა, ამბობს, რომ მომხდარზე გამოძიება პროკურატურამ უკვე დაიწყო.

— ზურაბ ნეფარიძე სასოწარკვეთამდე მივიდა. მას გუშინ ჰქონდა სუიციდის მცდელობა. საქმე გადაიგზავნა პროკურატურაშიც, ხოლო ზურაბ ნეფარიძე ჩასვეს სპეციალურ პროგრამა-

ში. როდესაც გამოვკითხეთ ფსიქოლოგები, მათ თქვეს, რომ მართალია ნეფარიძე კონტაქტური და ადეკვატურია, მაგრამ არსებობს

სუიციდის მცდელობის გამეორების საფრთხე, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ. ნეფარიძემ და მისი ოჯახის წევრებმა პრო-

ხეფარიძეძ და ძისი ოჯახის ხევრებძა ძრო კურატურა შანტაჟში დაადანაშაულეს. საკრებულოს ყოფილი დეპუტატის ზურამ

საკრებულოს ყოფილი დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის შვილი პროკურატურის მხრიდან მათ ოჯახზე განხორციელებულ ზეწოლის დეტალებს იხსენებს.

ზურა ნეფარიძის თქმით, მამის წინააღმდეგ ჩვენება დაკავებულის პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების ინტერნეტსივრცეში გავრცელების მუქარის შედეგად მიაცემინეს.

— გუშინდელ პროცესზე ზურაბ ნეფარიძემ დაადასტურა, რომ ფარული ვიდეოჩანაწერი, რომელიც პროკურატურის ნებართვით განხორციელდა, ასახავს პირადი ცხოვრების გარემოებეს, სექსუალურ ურთიერთობებს.

ამის შესახებ მისმა ადვოკატმა, ედიშერ ქარჩავამ, სასჯელაღსრულების №8 დაწესებუ-ლებიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, სადაც სასამართლო სხდომა გაიმართა.

ადვოკატის თქმით, ბრალდებულმა ზურაბ



ბექა ეჟიშვილი ამ ბრალდებას უარყოფს

ნეფარიძემ სხდომაზე აღნიშნა, რომ პროკურატურა მას აშანტაჟებდა აღნიშნული ვიდეოჩანაწერის გავრცელებით, თუ არ აღიარებდა ქრთამის აღების ფაქტს.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდებული მზად იყო, ეღიარებინა არარსებული ფაქტი, საკუთარი ღირსების დასაცავად, ასევე იმ პირო-ბით, რომ შვილსა და რძალს პროკურატურა დაანებებდა თავს, თუმცა, ედიშერ ქარჩავას თქმით, ბრალდებულმა პროკურატურისგან ეს პირობა ვერ მიიღო.

— ზურაბ ნეფარიძემ დღევანდელ პროცესზე დაადასტურა ფაქტი, რომ ფარულ ვიდეოჩანაწერზე, რომელიც პროკურატურის ნებართვით განხორციელდა, ადგილი ჰქონდა პირადი ცხოვრების ამსახველ გარემოებებს, ანუ სექსუალურ ურთიერთობებს.

ნეფარიძემ გუშინ ისიც თქვა პროცესზე, რომ მას პროკურატურაში დასცინოდნენ, რადგან აღნიშნული ვიდეოჩანაწერი გააჩნდათ და სთხოვდნენ ქრთამის აღების აღიარებას. აღნიშნული ვიდეოჩანაწერი გაკეთებულია მის სამუ-



შაო ოთახში. ამის შესახებ ყველა საუბრობს და იციან, რომ ეს კადრები არსებობს. საგამოძიებო ორგანო მის ღირსებასა და ავტორიტეტზე მოქმედებს, თუ როგორ ახორციელებდა თურმე პიროვნება სექსუალურ ურთიერთობას თავის სამუშაო კაბინეტში. ამის გამო ის სასოწარკვეთაში ჩავარდა და გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

ბრალდებულმა პროკურორ ბექა ეჟიშვილის აცილებაც მოითხოვა, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ არ არსებობს მტკიცებულება, გარდა ბრალდებულის ჩვენებისა.

აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარი პროკურორმა ბექა ეჟიშვილმაც გააკეთა. — მოსამართლის განჩინების საფუძველზე

მოსამართლის განჩინების საფუძველზე არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, ვიდეომასალები, სადაც ჩანს, თუ როგორ სთხოვს
ზურაბ ნეფარიძე ბიუროს ერთ-ერთ თანამშრომელს, რომ მან მიუტანოს თანხა, რომელიც თითქოს ნეფარიძეს ეკუთვნის, — განაცხადა პროკურორმა ბექა ეჟიშვილმა.

მან უარყო დაცვის მხარის მიერ გავრცე-



ლებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პროკურატურას გააჩნია ზურაბ ნეფარიძის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები.

— კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არანაირი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული
ჩანაწერი არ არსებობს. სისხლის სამართლის
საქმეში არსებობს სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე მოპოვებული აუდიო და ვიდეო ჩანაწერი, სადაც ჩანს, თუ როგორ იღებს და სძალავს ქრთამს ნეფარიძე ბიუროს თანამშრომლებს. ეს არის დაცვის მხარის
მოფიქრებული სტრატეგია და ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, — განაცხადა
ბექა ეჟიშვილმა.

მისი თქმით, ნეფარიძეს წარდგენილი აქვს ბრალი ქრთამის გამოძალვაზე, თალლითობაზე სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით და შრომის კანონმდებლობის დარღვევაზე.

პროკურორის თქმით, შემდეგი სასამართლო სხდომა კვლავ პენიტენციარულ დაწესებულებაში გაიმართება, რომელიც 19 მარტს, 11:00 საათზე ჩაინიშნა.

გუშინდელ სხდომას, მხარეების გარდა, დაესწრნენ ექიმი ფსიქიატრი და ფსიქოლოგი.

თბილისში, ხორავას ქუჩაზე, სკოლის მოსწავლეებს შორის მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების დროს მოკლული დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, დარწმუნებულია, რომ მისი შვილის მკვლელობაში დამნაშავე მხოლოდ ერთი მოზარდი არ არის და სასტიკი მკვლელობა რამდენიმე ცივი იარაღითაა ჩადენილი.

ზაზა სარალიძემ "ნიუპოსტს" უყვება, რომ მოსწავლეებს შორის მომხდარი დაპირისპირების ინიციატორები არც დავით სარალიძე და არც ლევან დადუნაშვილი არ ყოფილან.

სარალიძის მამამ გუშინ, 15 მარტს, თბილისის პროკურატურას მიმართა და ბორის კაკუბავას განცხადებებისთვის სამართლებრივი შეფასებების მიცემა მოითხოვა.

ცნობისთვის, კაკუბავა სისხლიანი გარჩევის ერთ-ერთი მონაწილის ბაბუაა, ყოფილი დეპუტატი ირწმუნება, რომ 2 მოზარდის მკვლელობით დასრულებულ გარჩევას წინ კონკრეტული კონფლიქტი უძღოდა.

სხვათა შორის, ბორის კაკუბავას მოწმეების მოსყიდვაში ადანაშაულებენ. ეს უკანასკნელი დანაშაულის დაფარვისთვის დაკავებული თენგიზ კალანდიას სიმამრია. ბოლო დროის სასტიკი მკვლელობის საქმეზე ბრალდებულები ასევე კაკუბავას შვილიშვილები არიან.

კაკუბავა ირნმუნება, რომ მოზარდებს შორის კონფლიქტი ბევრად უფრო ადრე დაიწყო, როდესაც მის მეცხრეკლასელ შვილიშვილს უფროსკლასელები სკოლაში ჩაგრავდნენ და მასზე ძალადობდნენ. სწორედ ბორის კაკუბავას სკანდალური განცხადებებით დავიწყეთ ზაზა სარალიძესთან საუბარი.

— ბორის კაკუბავა ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან აცხადებს, რომ მის შვილიშვილებს სკოლაში ჩაგრავდნენ, აშანტაჟებდნენ და ფულს აწერდნენ მაინტერესებს, რატომ და რის საფუძველზე გააჟღერა მან ეს ინფორმაცია. თუ მისი ნაამბობი სიმართლეს არ შეესაბამება, ვითხოვ საქმეს მიეცეს სამართლებრივი ფორმა, აღნიშნა მოკლული მოზარდის მამამ.

ზაზა სარალიძე კაკუბავას განცხადებებს "თავდასხმას" უწოდებს.

— კაკუბავამ ეს განცხადებები მას შემდეგ გააკეთა, რაც გაჟღერდა, რომ მოწმეების მოსყოდვას ცდილობდა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მოისყიდა თუ არა ყოფილმა პარლამენტარმა მოწმეები, მაგრამ ფაქტია, რომ საქმის მოწმეები ჩვენებას ცვლიან. ზოგადად, როცა ადამიანი დამნაშავეა, სწორედ მაშინ იცავს ისთავს — თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუ-

ჩემი შვილისა და ლევან დადუნაშვილის მკვლელობის თვითმხილველებმა სასამართლო-ზე პოლიციისთვის მიცემული ჩვენებები რადიკა-ლურად შეცვალეს. როცა ეკითხებიან და მათივე ჩვენებიდან ციტირებას ახდენენ, თითქმის ყველა მათგანი ამბობს, რომ ახალ ჩვენებას დაეყრდნონ, რადგან ეს დაზუსტებულია. ფაქტია, რომ მათ ჩვენების კონკრეტულმა პირმა, ან პირებმა შეაც-ვლევინეს, ან მოისყიდეს ანდა დააშინეს, არა-

ფერს გამოვრიცხავ, — თქვა ზაზა სარალიძემ და დასძინა, რომ ჩვენება შეცვალეს ასევე მისი შვილის მეგობრებმაც.

"ნიუპოსტთან" საუბრისას სარალიძე არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია მკვლელობის მონაწილე ან დანაშაულის დამფარავ პირებს მაღალჩინოსნები მფარველობდნენ.

— როგორც ცნობილია და ამ დროისთვის უკვე გამოიკვეთა, საქმეში მაღალჩინოსნებს შვილები მონაწილეობდნენ, მათ შორის ბორის კა-კუბავას ორივე შვილიშვილიც ინციდენტის მონაწილეა, დანაშაულის დაფარვისთვის პასუხისგებაშია მიცემული მისი სიძე, ფაქტები წინ დევს, დანაშაულის დაფარვა და მოწმეების მოსყიდვა შეიძლება მათ ინტერესში იყოს. არც იმას გამოვრცხავ, რომ სხვა პირების ინტერესებიც იკვეთებოდეს. როგორც გაირკვა, ყოფილი პროკურორის, მირზა სუბელიანის შვილის გამო დაიწყო ინციდენტი, — განმარტა მოკლული ბიჭის

ზაზა სარალიძის ინფორმაციით, ხორავას ქუჩაზე იმაზე მეტი პირი მონაწილეობდა, ვიდრე ამას საგამოძიებო ორგანოები ამბობენ: "ჩემს ბიჭს ორი ადამიანი სასიკვდილო ჭრილობებს ვერ მიაყენებდა".

საქმის "ჩაფარცხვის" მცდელობაზე საუბრისას სარალიძე აღნიშნავს, რომ გაუთქმელობის ხელწერილით ისეთი ადამიანები გააჩუმეს, რომლებიც საქმეზე ინფორმაციას ფლობდნენ.

გააჩუმეს ზვიად კუპრავა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საქმის გამოძიებაში,



ძირითადი საექსპერტო დასკვნა კი ამ დრომდე არ არის გამოქვეყნებული. 4 თვეა ველოდებით დასკვნას, რომელიც ჭიანურდება და მიჩნდება ეჭვი, რომ საექსპერტო ბიუროც მოისყიდეს, თქვა მოკლული დავით სარალიძის მამამ.

დავით სარალიძე და ლევან დადუნაშვილი 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე დაჭრეს. მათგან ერთი იმავე დღეს საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო მეორე რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიღუპა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორი არასრულწლოვანი დააკავა, რომელთაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით პროკურატურამ პასუხისგებაში 5 პირი მისცა.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲦᲔᲑᲣᲚᲡ 6 ᲬᲚᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲐ

რუსთავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობის ჩადენაში ბრალდებული ე.ი. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც "ინტერპრესნიუსს" მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 28 ივლისს, დაახლოებით 05:00 საათიდან 07:00 საათამდე პერიოდში, ე.თ.-მ, ქ. რუსთავიდან სოფელ აგთაკლიაში გამგზავრების მიზნით იქირავა შ.ს.-ის ავტომანქანა, მიიყვანა ის სოფელ აგთაკლიის ერთ-ერთი უბნის ჩიხში, სადაც დანის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით შ.ს.-ს გასტაცა თანხა 100 ლარის ოდენობით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ვის ადგილიდას თიიალა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, სამართალდამცველებმა ე.ი. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით

პატიმრობა შეეფარდა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ ე.ი. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახის ადვოკატი ამი-რან გიგუაშვილი მთავარ პროკურორს ირაკ-ლი შოთაძეს მიმართავს. გიგუაშვილი მოუ-წოდებს პროკურატურას, რომ დაიცვან ოჯა-ხის კონსტიტუციური უფლებები და გადას-ცენ საქმის მასალები სრული მოცულობით.

 მას შემდეგ, რაც არაერთი შუამდგომლობის თუ საჩივრების შედეგად, რო-

ზ3ᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲦᲕᲝᲙᲐᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ გორც იქნა, 2017 წლის 4 ოქტომბერს გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ იქნა ცნოლობასთან. ამირან გიგუაშვილის თქმით, სის-

გორც იქხა, 2017 წლის 4 ოქტომბერს გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ იქნა ცნობილი კონსტანტინე გამსახურდია, მე, როგორც მისი და ცოტნე გამსახურდიას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, სამჯერ მივმართე შუამდგომლობითა და საჩივრით პროკურატურას, მათ შორის პირადად საქართველოს მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს,
რომ გადმომცენ საქმის მასალები, რათა სრულყოფილად გავეცნო მათ და მომეცეს საშუალება მოვამზადო სტრასბურში წარსადგენი
საჩივარი. მიუხედავად ამისა, პროკურატურა
უარს აცხადებს ჩვენს მოთხოვნაზე და გვეუბნება, რომ დაზარალებულისათვის საქმის მასალების გადაცემა არ არის ნებადართული
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით
და გვთავაზობს ადგილზე გავეცნოთ საქმეს,
რომელიც 18 ტომისგან შედგება, — განაცხადა
გიგუაშვილმა.

როგორც ადვოკატი აცხადებს, შეუძლებელია 18 ტომი საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლა პროკურატურაში, მაშინ როდესაც უნდა გაკეთდეს დეტალური ანალიზი, მოწმეთა ჩვენებების დაპირისპირება, საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების შედარება ადრე თუ ამჟამად მოქმედ კახოხმდებლობასთან. ამირან გიგუაშვილის თქმით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1 პუნქტის თ) ქვეპუნქტი განმარტავს დაზარალებულის უფლებას: მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ადვოკატის განმარტებით, ეს მუხლი მოიცავს მათ შორის დაზარალებული უფლებას, მიილოს პროკურორისგან ინფორმაცია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით.

— ის, რასაც ჩვენ ვითხოვთ, ეხება ყველა დაზარალებულის უფლებას. დღევანდელმა პროკურატურამ წარმატებით გააგრძელა წინა ხელისუფლების პრაქტიკა ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფონ დაზარალებულები. არ მიაწოდონ მათ საქმის მასალები, არ ჩაახედონ გამოძიების მიმდინარეობის პროცესში. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას დაზარალებულის უფლების შესახებ, სრულფასოვნად მიუწვდებოდეს ხელი გამოძიების მიმდინარეობაზე, — აცხადებს ამირან გიგუაშვილი.



ᲚᲣᲪᲔᲜᲙᲝ: "ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ ᲡᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝ **ᲠᲐᲦᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲐ"**

უკრაინის გენერალური პროკურორი იულუცენკო დეპუტატ ნადეჟდა სავჩენკოს დაპატიმრებას აპირებს, რომელსაც გამოძიება პარლამენტში ტერაქტის მოწყობის დაგეგმვა-



ში ადანაშაულებს

– გამოძიებას აქვს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ უკრაინელი დეპუტატი ნადეჟდა სავჩენკო პირადად გეგმავდა, პირადად აძლევდა ბრძანებებს საბრძოლო ყუმბარების გამოყენებით პარლამენტის დარბაზში ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ. ისინი სამთავრობო და თანამდებობრივი ლოჟის აფეთქებას, ნაღმმტყორცნების საშუალებით პარლამენტის შენობის გუმბათის ჩამოშლას, გადარჩენილი ადამიანების მიმართულებით კი ავტომატებიდან ცეცხლის გახსნას გეგმავდნენ,
– განაცხადა ლუცენკომ პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

მან პარლამენტს სავჩენკოსთვის დეპუტატის ხელშეუხებლობის მოხსნის თხოვნით

– მე, როგორც უკრაინის გენერალური



პროკურორი, შევიტან პარლამენტში ნარდგენას ნადეჟდა სავჩენკოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, დაკავებასა და და პატიმრებაზე, – დასძინა ლუცენკომ.

ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲛᲐ ᲡᲙᲠᲘᲞᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲛᲔᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ

საფრანგეთი იზიარებს გაერთიანებული სამეფოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს სხვა "დამაჯერებელი ახსნა", ვიდრე რუსეთის პასუხისმგებლობაა ყოფილი რუსი ორმაგი აგენტის სერგეი სკრი-

პალის მკვლელობის მცდელობაში. ყოფილი ორმაგი აგენტის მოწამვლის საქმესთან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი გუშინ, 15 მარტს, ბრიტა-ნეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის შეხვდა.

"კვირის დასაწყისში გაერთიანებულმა სამეფომ აღნიშნულ საქმეზე გამომძიებლების მიერ შეგროვილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საფრანგეთის ინფორმირება მოახდინა. აღნიშნული მტკიცებულებები ამ თავდასხმაში რუსეთის პასუხისმგებლობაზე მიანიშნებს. საფრანგეთი იზიარებს გაერთიანე-ბული სამეფოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს სხვა დამაჯერებელი ახსნა და კვლავ გამოხატავს სოლიდარობას ๑๖๑๓๒๓ อิศารงฐฮิกศักป อิกอิงศัต," – ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში.



ემანუელ მაკრონი და ტერეზა მეი ამ მოვლენის საპასუხოდ ევროპისა და ტრანსატლანტიკური ერთიანობის მნიშვნელობაზე შეთანხმდნენ. მათი თქმით, ისინი შეინარჩუნებენ მჭიდრო კონტაქტს უახლოეს დღეებში.

ამავე დროს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი არ გამორიცხავს, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაკავშირებული მდიდარი



რუსების აქტივები დააყადაღონ. งอีกบ ซึ่วบริชาชี อีงธ์ "จัก-จัก-บกบดงธ์" กธ์-

ტერვიუში განაცხადა.

ადამიანებს სურთ ნახონ, რომ სამართალდამცველები და პოლიცია პუტინთან დაკავშირებული ზოგიერთი ძალიან მდი-องค์ก งักค์กูงกับ ปู่คี่อีกูงกับ องก่อ องก่องกับอกูงกังอ და მათ კორუფციული საქმიანობისთვის პასუხს აგებინებენ, – განაცხადა ჯონსონმა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲪᲮᲐᲦᲔᲑᲡ



კანცლერმა ანგელა მერკელმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც გერმანიის რუსული გაზისგან დამოკიდებულების განეიტრალებისკენ არის მიმართული. კერძოდ, რუსული გაზი შესაძლოა ჩაანაცვლოს ამერიკულმა, რომელიც დიდი ხანია, გაზის ბაზრიდან რუსების გაძევებისკენ ისწრაფვის.

ამას გარდა, ნავარაუდევია მზის ენერუფრო რაციონალურად გამოყენება. დღეისთვის მზის ენერგია გერმანიის ენერგეტიკის 33%-ს შეადგენს. უახლოეს წლებში დაგეგმილია ამ ციფრის 50%-მდე გაზრდა.

ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲡᲝᲑᲩᲐᲙᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ **ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲐ**



რუსეთის პრეზიდენტობის კანდი დატმა ქსენია სობჩაკმა განაცხადა, რომ ტერორიზმისთვის ყველა უნდა დაისაჯოს, მნიშვნელობა არა აქვს, ეს დიდი ქვეყანა იქნება თუ პატარა.

– თუ დადასტურდა, რომ სკრიპალის მოწამვლა მართლაც რუსეთის სპეც-სამსა-ხურების ნახელავია, რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები უნდა შემოიღონ, – თქვა ქალბატონმა სობჩაკმა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

ᲡᲔᲜᲐᲒᲝᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲦᲔᲡᲘ: "ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲒᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲐᲦ ᲣᲜᲦᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲦᲦᲔᲡ!"

ამერიკელმა სენატორმა მენედესმა გა-ნაცხადა, რომ მის მიერ დაწყებულია რუსეთის ტერორიზმის სპონსორად გამოცხადების პროცედურა. მენედესმა აღნიშნა, რომ მოსკოვის მიმართ სანქციები კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს, რუსეთი კი გაეროს უშიშროების საბჭოდან გაიყვანონ.

– ისეთი ქვეყანა, რომელიც ტერორისტებს მფარველობს, არ შეიძლება, გაეროს უშიშროე-ბის საბჭოს წევრი იყოს, – აცხადებს მენედესი.

มาธิงลูกที่อิง ลูทั้งอิงักป งต่อกิกปลูทั้งผูกงับ อีกუწოდა, რუსეთის მიმართ მაქსიმალურად ხისტი პოლიტიკა გაატაროს.

ამერიკა დემოკრატიული სამყაროს

ლიდერია! ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ რუსე-ბის ძალადობისგან ჩვენი ყველა მოკავშირე დავიცვათ, – თქვა მენედესმა.

ᲙᲣᲒᲘᲜᲘ ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲦᲐ

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ანექსირებულ ყირიმში ჩავიდა. აქ მისი წინასაარჩევნო კამპანია დასრულდა.

პუტინმა ქერჩის ყურეში მშენებარე ხიდი მოინახულა და სიმფეროპოლში გამართულ მიტინგზე კიდევ ერთხელ განაცხადა:

– ყირიმი ერთხელ და სამუდამოდ რუსეთს დაუბრუნდა!

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ პუტინის ყირიმში ვიზიტს პროვოკაცია უწოდა. პრე-ზიდენტმა კვლავ მიმართა ევროპას, რათა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები გაამკაცროს.

გაცილებით ხისტი იყო უკრაინული ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და პარლამენტის დეპუტატ დმიტრო იაროშის განცხადება:

– პუტინის პოლიტიკამ უკვე ის შედეგი გამოიღო, რომ დონბასში რუსეთმა 30.000 ჯარისკაცი დაკარგა! ავღანეთში მხოლოდ 14.000 დაიღუპა. რუსებს მომავალშიც დავხოცავთ, – I ამბობს იაროში

ლამარა თოლუა მოგირჩენთ სახის სახალხო მკურნალი კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას ("იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ−10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. **ტე**ლ.: 230 62 52; 599 16 10 82

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ

<u>ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ</u>

გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

- ნანა ქიბროწაშვილი ფირმა "იადიგარ დაუდის" მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225. ტელ: **599-498-423** ნანა.. მიღება **12-**დან **15** სთ-მდე წინასწარი
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერებაგაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავებაშეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირ ბისგან უახლესი შეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდი-ვიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- •კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

 • ალკოპოლური და ნარკოტიკული დამოკიდებუ-
- ლებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.





ᲚᲣᲘ ᲕᲐᲜ ᲒᲐᲐᲚᲘ: "ᲣᲚᲘ ᲰᲘᲝᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲦᲠᲝᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ

პოლანდიელ მწვრთნელ ლუი ვან გაალს ჟურნალისტებმა მიაგნეს და დროებით უმუშევარ სპეციალისტს ინტერვიუ ჩამოართვეს.

ჰოლანდიელი სპეციალისტი ყვება, რომ ბუნდესლიგის კლუბი, ვოლფსბურგი, მისით ინტერესდებოდა, ასევე აღნიშნა, რომ მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტმა ული პიონესმა 60 წლის დაბადების დღეზეც კი მიიწვია, მაგრამ უარი მიიღო.

ლუის ვან გაალი:

– ბუნდესლიგიდან ბევრი წინა-დადება მქონდა, არა მხოლოდ ვოლფსბურგიდან, ასევე ბაიერნიდან, მაგრამ მაშინ გადავწყვიტე, უარი მეთქვა მათთვის. თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას, რომ სულ ასე იქნება. მე ისეთი კლუბი მჭირდება, რომელიც ნამდვილი გამოწვევა იქნება ჩემთვის. ჰიონესმა დამიძახა, მაგრამ მე არ ფიქრობ, რომ ღირდა ამ გამოწვევის მიღება ყოვე-ლივე იმის შემდეგ, რაც მოხდა.

— იქნებ დორტმუნდის ბორუსია გეცადათ?

— დორტმუნდს ჯერ ჩემთვის არ მოუმართავს. მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ გუნდს ყველაფერი აქვს, რათა ჩემპიონი გახდეს და ბაიერნს წინააღმდეგობა გაუწიოს.

– ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში 2 თქვენი ყოფილი კლუბი თამაშობდა – ბაიერნი და ბარსელონა. რომელი გუნდის მატჩებს უყურებ-

ბარსელონის ორივე მატჩს ჩელსის წინააღმდეგ. საპასუხო მატჩის დროს ჰოლანდიურ არხზე ექსპერტი ვიყავი, ამიტომ ვუყურე მათ პირველ თამაშს. მაგრამ, დამიჯერეთ, მსურს, შესაძლებლობა მქონდეს, ბაიერნის თამაშის ანალიზი გავაკეთო მეოთხედფინალში. ჩემს მეუღლესთან ერთად სიამოვნებით დავბრუნდებოდი მიუნხენში. ჩემი გათავისუფლების შემდეგ იქ მხოლოდ ერთხელ ვიყავით 2011 წელს, მანჩესტერ იუნაიტედის სპონსორების მიწვევით. ამასთან, ორივეს ძალიან გვიყვარს ეს ქალაქი და კლუ-

– *კიდევ გიყვართ ბაიერნი?* – რა თქმა უნდა! მანჩესტერ

იუნაიტედი კომერციული კლუბია. ბაიერნში ყველაფერი სხვაგვარადაა. კლუბს რუმენიგე და ჰიონესი ხელმძღვანელობენ – ყოფილი ფეხბურთე-ლები, რომლებმაც იციან, რაზე ლაპარაკობენ. მათთვის ყველაზე მთავარი ფეხბურთია, და არა ფული, როგორც ეს იუნაიტედისთვისაა. ამისათვის მიყ-

– როდესაც დღეს ბაიერნს უყურებთ, თუ ადარებთ თქვენს მაშინდელ გუნდს (2009-10) და რას ფიქრობთ?

ვხედავ, რომ იუპ ჰაინკესი იმავე სქემას იყენებს, რასაც მე ვიყენებდი. განსხვავება იმაშია, რომ ახლა ფეხბურთელების ხარისხი უფრო მაღალია. მაგრამ ამის მიუხედავად, 2010 წელს მე შევძელი ოქროს დუბლი გვეზეიმა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავსულიყავით. არ გამიგოთ არასწო-რად – ჰაინკესის მუშაობას დიდი პა-

ტივისცემით ვუდგები, ის მშვენივრად ართმევს თავს. უნდა გამოვტყდე, რომ ზოგ რამეს ის ჩემზე უკეთესად აკე-

თებს, ვიდრე მე ვაკეთებდი მაშინ. — ასეთ რამეს თქვენგან ხშირად ვერ გავიგებთ. გთხოვთ, დაასახელეთ კონკრეტული მაგალითი.

მაგალითად, თუ როგორ ეპყრობა ის რიბერის. უნდა გამოვტყდე, რომ ის უფრო კარგად გრძნობს ფეხბურთელებს. ჩემი ხელმძღვანელობითაც რიბერი კარგად თამაშობდა შეტევაში, მაგრამ ჰაინკესთან ის უფრო შეტად მოქშედებს დაცვაში.

იუპს კვლავ ყველაფერი გამოს-დის. რუმენიგემ და ჰიონესმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და მის გა-მოცდილებას ენდნენ. ამ როლში მე ვერ ვხედავ ისეთ ახალგაზრდა მწვრთნელებს, როგორებიც ნაგელსმანი და ტუხელია. ბაიერნი ტოპკლუბია, რომლის მართვაც არც ისე ადვილია. ჰაინკესმა ყველას დაანახა, რომ მას შეუძლია თასის მოგება, ჩემპიონად გახდომა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც კი.

– თქვენი ყოფილი ფეხბურთელები, მიულერი, ალაბა, რობენი და რიბერი, კვლავ აქ არიან. რამდენი დარჩა ვან გაალისგან კიდევ ბაიერ-

– ეს **3** სქემაა, რომლებსაც მე ბაიერნში პირველ თვეებში ვიყენებ-დი. პირველი იდეა 2009 წლის 1 ივნისს ეხება, ანუ, ის ჯერ კიდევ თანამდებობაზე დანიშვნამდე წარმოიშვა. მეორე – სეზონის დაწყებამდე – 2009 წლის 31 ივლისს. ხოლო მესამე და საბოლოო უკვე 2009 წლის 17 აგვისტოს სქემაა. ეს სქემები იმის მანიშნებელია, რომ მე ჩემს იდეებს ვავითარებდი – 2 თავ-დამსხმელისა და რიბერის 10-ზე განთავსებით რომბში, 2 სწრაფი ფლანგელი თავდამსხმელითა და 1 ცენტოფორვარდით. ბოლო სქემა იუპ ჰაინკესმა ახლაც შეიძლება გამოიყენოს, პეპ გვარდიოლაც იმავეს აკეთებს დღეს.

– როგორ მიწვედით ამ სქემის

განვითარებამდე? — მაშინ მე 4 თავდამსხმელი მყავდა – გომესი, ლუკა ტონი, კლოზე და ოლიჩი, მაგრამ არცერთი არ ყოფილა მაშინ ლევანდოვსკის დონის. ამიტომ თავიდან გუნდის ფორმირებას შევეცადე, რომელიც 2 თავდამსხმელით ითამაშებდა. ფლანგებზე შვაინშტაიგერი და ალტინტოპი მყავდა, რომლებიც ამ პოზიციისთვის სწრაფე-ბი არ იყვნენ. სეზონის დასაწყისში მხოლოდ 2 ფრე გვქონდა, შემდეგ მა-ინცთან წავაგეთ 1:2. ამის შემდეგ ტე-გერნზეში ული ჰიონესთან უნდა წავ-სულიყავი მოხსენებით. ასეთი რამ კი მწვრთნელის რანგში ჩემთვის პირველი იყო. ვიცოდი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა. ვთხოვე, რეალიდან არიენ რობენი ეყიდათ. მასთან და რიბერისთან ერთად მე სწრაფი ფეხბურთელები აღმომაჩნდა ფლანგებზე, რომლებიც ჩემთვის აუცილებელი იყო. შვაინშტაიგერი ცენტრში დავაყენე. ამის შემდეგ კი წარმატებაც მოვიდა.

– მაინცში წაგების შემდეგ გა-სახდელში გუნდის წინაშე შარვალი ჩაიხადეთ, რათა ფეხბურთელებისათვის გენახვებინათ, რომ "კვერცხები გაქვთ. ეს სიმართლეა?

– ის, რაც ერთ ოთახში ხდება ჩემს ფეხბურთელებთან ერთად, იქვე უნდა დარჩეს. მაგრამ, გთხოვთ, ნება დამრთოთ, ვთქვა, რომ ვინც მე მიც-ნობს, იცის, რომ ეს ჩემს ხასიათს ჰგავს. მე მეტად ემოციური ვარ.



– ერთხელ ლუკა ტონის ეცით და ყურით გაათრიეთ.

– კი, ასე გავაკეთე! ის უსაქმურობდა საუზმის დროს და ეს უპატივცემულობა იყო ჩემდამი და ფეხბურთელებისადმი. ასეთი არ უნდა ხდებოდეს გუნდში. მე ხელშეუხებელი წესი მაქვს: გუნდი ერთ ფეხბურთელზე მნიშვნელოვანია. ესეც ერთ-ერთი მიზეზი გახდა ჰიონესთან ჩემი მუდმივი პრობლემების.

– შეგიძლიათ ამის ახსნა?

ჰიონესს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ზოგიერთ ფეხბურთელთან, ის მათთან ერთად იდეებს ცვლის და მათ ინტერესებს იცავს. ჰიონესმა რიბერი დაიცვა, რადგან თვლიდა, რომ მას ყოველთვის უნდა ეთამაშა. ჩემი აზრით, ეს არ არის კარგი მწვრთელის მუშაობისთვის. კიდევ ერთხელ: გუნდი ყველაზე მნიშვნელოვანია და არა ცალკეული ფეხბურთელი. აქ მე და ჰიონესს განსხვავებული შეხედულებები გვაქვ

– თქვენ ერთი საუბრის შემდეგ ერთმანეთს ხელი ჩამოართვით და ლე-გენდარული "მშვიდობა" დაამყარეთ

წითელ ღვინოსთან ერთად.
— ყველაფერი სწორია, ჩვენ გვქონდა საუბარი, მაგრამ ის კონსტრუქციული არ ყოფილა. ამის შემ-დეგ მეუღლემ მითხრა, რომ ბაიერნიდან უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ მაინც გავაგრძელე მუშაობა, რადგან ეს კლუბი მიყვარდა. გერმანული მენტალიტეტი — ეს ჩემი მენტალიტეტია. თავდაუზოგავი ვარჯიშები, ბოლომდე ბრძოლა და არასოდეს დანებება. ამასთან, მაშინ წარმოუდგენელი გუნდი მყავდა, ეს როლი ჩემთვის იყო

– ისე ჟღერს, თითქოს სიამოვნებით იმუშავებდით კვლავ ბაიერნში.

ნებისმიერ ადგილას დავბრუნ-დებოდი: ბარსელონაში, ჰოლანდიის ნაკრებში, აიაქსში, ალკმაარში, მაგ-რამ ბაიერნში? ამის წარმოდგენა არ შემიძლია. ვერ ვიმუშავებ კლუბში, სადაც ული ჰიონესია.
— რა გითხრეს ასეთი ცუდი

კლუბში?

— მგონია, რომ თუ მოვყვები, ეს ჰიონესისთვისაც, ბაიერნისთვისაც და ჩემთვისაც ცუდი იქნება. საკმარისია, აღვწერო ის ბრძოლა, რომელიც მე კლუბის ხელმძღვანელობასთან მქონ და. მე თუ ვამბობ, "ხელმძღვანელობა", ვგულისხმობ ული ჰიონესს. აი, თქვენ ერთი მაგალითი: ლამი მაშინ მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა, მე ის მარჯვნივ დავაყენე. ამის გამო ჰი-ონესთან დიდი კამათი მქონდა. მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ მე მართალი ვიყავი. ლამმა ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიო ჩემპიონატი მარჯვენა მცველის ამპლუაში მოიგო.

– ეს საკმარისია, რომ თქვენი ძველი ჩხუბი ახსნათ ჰიონესთან?

– ანალოგიური შემთხვევა იყო თომას მიულერთანაც. როდესაც მე მუდმივად ვაყენებდი ნიჭიერ ფეხბურთელს შემადგენლობაში, რომელიც მე ჰერმან გერლანდმა მირჩია, ჰიონესმა ჩემს მეუღლეს უთხრა: თქვენმა მეუღლემ კვლავ არასწორი შემადგენლობა დააყენა. ალაბასთან დაკავშირებითაც იგივე იყო. მისმა შეცდომამ ბოლო წუთზე ნიურნბერგთან ფრე მოგვიტანა (1:1), შემდეგ კი ამას ჩემი გათავი-სუფლებაც მოჰყვა. ალაბა კი ამ დრომდე გაიერნის ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია.

– თქვენ ასევე გაგათავისუფ-ლეს იმის გამო, რომ პიონესის წინააღმდეგი იყავით, როდესაც ბაიერნმა მა-ნუელ ნოიერი შეიძინა. თქვენ პირველ ნომრად ტომას კრაფტს განიხილავდით. ახლა კრაფტი ჰერტას შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძვის, მაშინ როდესაც ნოიერი რამდენიმე წელი ზედიზედ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდა. ეს არ იყო თქვენი შეცდო-

– არა, მე არ შევმცდარვარ, რადგან მთლად ასე არ ყოფილა. მაშინ შემადგენლობაში რენზინგი, ბუტი და კრაფტი მყავდა. არასოდეს მითქვამს, რომ არ მსურს ნოიერის ხილვა გუნდში. მე მხოლოდ ის გავაგებინე ხელ-მძღვანელობას, რომ კრაფტის დატო-ვება მსურს და, თუ ნოიერი მოვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ავტომატურად პირველი ნომერი გახდება. მე შედეგებზე ვარ ორიენტირებული. ჩემი ხელმძღვანელობით ნოიერი, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ფეხბურთელი, კონკურენციის პირობებში ითამაშებდა. ვთვლი, რომ პროფესიონალურ სპორტში ყოველთვის უნდა იყოს კონ-

კურენცია.
– მაგრამ თქვენ არაფერი შეგშლიათ? ყველაფერში დამნაშავე მხო-

– ასე არ არის. ჩემს სამწვრთნელო მოვალეობებში პრობლემების გა-დაჭრა და სხვადასხვა ხალხთან ურთიერთქმედებაც შედის. ფეხბურთელებთან ყოველთვის ვახერხებდი ამის გაკეთებას. მაგრამ ჰიონესთან არ გამომდიოდა, რადგან ვთვლიდი, რომ მწვრთნელი ამით არ უნდა ყოფილიყო დაკავებული. შემიძლია გამოვტყდე, რომ ეს ჩემი შეცდომა იყო.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ᲒᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲔᲠᲜᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲦ ᲒᲐᲕᲘᲦᲜᲔᲜ

ბაჩსეღონა-ჩეღსი 3:0 <u>ᲒᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ. ᲜᲝᲣ ᲙᲐᲛᲞᲘ</u>

ბარსელონა: ტერ შტეგენი, პიკე , ალბა, უმტიტი, ინიესტა (პაულინიო 56), რაკიტიჩი, ბუსკეტსი (გომეში 61), სერხი, მესი, სუარესი, დემბელე (ვიდალი 67)

ჩელსი: კურტუა, ასპილიკუეტა, ალონსო, კრისტენსენი, ფაბრეგასი, ვილიანი, მოზესი (ძაპაკოსტა 67), აზარი (პედრო 82), კანტე, ჟირუ (მორატა 67) თითქოს მატჩს ინტრიგა ჰქონდა შენარჩუნებული,

მაგრამ სენსაცია არ შედგა. კატალონიურმა კლუბმა ფავო-რიტის სტატუსი გაამართლა და თავდაჯერებულად შეაბი-

ჯა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. თუ საბოლოო შედეგს შევხედავთ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ერნესტო ვალვერდეს გუნდმა იოლად მოიგო. ეს მთლად ასე არ არის, რადგან მატჩის მიმდინარეობისას იყო მომენტები, როდესაც ლონდონელებმა რამდენიმეწუთიანი მონაკვეთები შემოგვთავაზეს და გატანაც შეეძლოთ, მაგრამ გოლების რეალიზაციასთან ანტონიო ნტეს გუნდი მწყრ ალად არის

ძალიან ბევრი რამ გადაწყდა საწყის 20 წუთში, როდესაც ბარსელონამ 2 გოლის გატანა მოასწრო. ჯერ ლეო მესიმ გაიტანა, შემდეგ მისი პასით – ოსმან დემბელემ. შესვენების შემდეგ არგენტინელმა ჯადოქარმა დუბლი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგაზე გოლების რაოდენობა 100-მდე აიყვანა.

საბოლოოდ, ბარსამ დამაჯერებლად მოიგო და ახლა თავის მეტოქეს ელოდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეო მესი. აქ უკვე 2 აზრი არ არსებობს. პირველი ტაიმი საოცრად ჩაატარა არგენტინელმა და შეუფასებელი წვლი-ლი შეიტანა საკუთარი გუნდის გამარჯვებაში. საბოლოოდ, 2 გოლი და საგოლე პასი – ბარსელონის ფორვარდის

ბრწყინვალე თამაში. ბეშიქთაში-ბაიეხნი 1:3 <u>ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. ᲕᲝᲓᲐᲤᲝᲜᲔ</u> (59), 1:3 35860რ0 (84)

ბეშიქთაში: ზენგინი, ერკინი, მედელი, უისალი, გიო ი, ოზიაკუპი, არსლანი (ჰატჩისონი 60), ლენსი (ტალისკა 60), პეკტემეკი, კუარეჟმა, ვაგნერი (ბაბელი 75)

ბაიერნი: ულრაიხი, ალაბა, ბოატენგი, ჰუმელსი (ზულე 46), რაფინია, მარტინესი, ალკანტარა (ხამესი 35),



ვიდალი, რიბერი, ლევანდოვსკი (ვაგნერი 68), მიულერი მიუნხენში განადგურებულ ბეშიქთაშს საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაცია სურდა, მაგრამ არც ბაიერნი აპირებდა მოედანზე უმოტივაციოდ დგომას, ამი-

ტომაც მადლობა ორივე გუნდს, რომ არაფრისმომცემი შეხვედრა პატიოსნად ითამაშეს, არც სათადარიგოები გამოუყვანია მოედანზე იუპ ჰანკენსს და საინტერესო სანა-ხაობა შედგა.

ბაიერნს ძალები არ დაუზოგავს, ერთია, 2 გატანილი გოლის შემდეგ უფრო აკურატულად ათამაშდა, გრძნობდა თავის კოლოსალურ უპირატესობას კლასში და არსად ეჩქარებოდა.

კონკრეტულად ამ მატჩის ბედი ბავარიელთა ორმა სწრაფშა გოლშა გადაწყვიტა, რომლებიც ტაიმების დასაწყისში გაიტანეს. ბეშიქთაშიც მონდომებული ჩანდა და ერთი გოლი გაქვითა, თუმცა ბოლოს ვაგნერმა სტატუსკვო

ბაიერნი ძალიან მარტივად გავიდა მეოთხედფინალ-

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტომას მიულერი. მიულერი ძალიან აქტიური იყო შეტევაში, ამწვავებდა ფლანგზე. მართალია, თავად გოლი არ გაუტანია, მაგრამ ამ გამარჯვებაში თავისი როლი საუკეთესოდ შეას-

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ფეᲮგურთი ბარსელონა-ჩელსი ბეშიქთაში-ბაიერნი . . 1:3 <u> იტალია. სერია ა</u> იუვენტუსი-ატალანტა საჟუhნიhm ცხhიღი: 28 24 28 22 1.იუვენტუსი 2.ნაპოლი 3.რომა 17 47-23 66-36 53 52 4.ლაციი 5.ინტერი 6.მილანი 7.სამპდორია 27 14 42-21 38-30 47-38 8.ატალანტა 9.ფიორენტინა 11 38-31 41 27 10 36-32 38 36 10.ტორინო 27 36-35





ᲚᲣᲘ ᲕᲐᲜ ᲒᲐᲐᲚᲘ: "ᲣᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲦᲠᲝᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– შემდეგ ჰიონესმა სიტყვები იპოვა და შესრულებული სამუშაოსათვის შეგაქოთ, ასევე ქება დაიმსა-ხურეთ იმისთვის, რომ საფუძველი ჩა-უყარეთ კლუბის მომავალ წარმატე-

— ულიმ ნამდვილად გააკეთაეს? ეს თუ სიმართლეა და მან თქვა, რომ მე დადებითად ვიმოქმედე კლუბ-ზე, მაშინ მომიწევს ჩემი აზრის გამოც-

– ბაიერნისთვის ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ვარსკვლავად აქციეთ. შესაძლებელია ასეთი ახალგაზრდა ფეხბურთელების ინტეგრირება დღევანდელ სუპერშემადგენლობაში?

- ველოდი ამ კითხვას. კონცეფცია ყოველთვის ერთნაირია. თითოეულ კლუბში მე ვირჩევ 25 ფეხბურთელს, 3 მათგანი აკადემიიდანაა. ასე უჩნდებათ შანსი ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომ თავისი ნიჭი გამოაჩინონ მაღალ დონეზე. ასე ვაკეთებდი ჩემი კარიერის დაწყებიდან დასრულებამდე. ამიტომაც ჩემი ხელმძღვანელობის დროს ბევრი ფეხბურთელი ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში. ეს ჩემი ფილოსოფიაა. საჭიროა,



კლუბის ფილოსიოფია შეინარჩუნო ბაიერნში ეს მიულერთან, ალაბასთან და ბადშტუბერთან მიმართებით გავაკეთე. ამისათვის დააბრუნეს ლევერკუზენიდან ტონი კროოსი და ასევე მსურდა, მიუნხენში მათს ჰუმელსი დამებრუნებინა.

– კლუბში თქვენი მოსვლის შემდეგ ბაიერნის ახალგაზრდული გუნ-დის ფეხბურთელი, ჰუმელსი, ბორუსი-

აში 4,2 მილიონ ევროდ გაყიდეს.
— დიახ, მე კი მსურდა ჰუმელსის

დაბრუნება უკან 2010 წელს, იყო მოლაპარაკებები ამის შესახებ, მაგრამ მე და ჰიონესს კვლავ სხვადასხვა აზრი გვქონდა. 6 წლის შემდეგ ბაიერნმა მაინც შეიძინა ჰუმელსი 38 მილიონ ევროდ. მისი შეძენა ასევე მანჩესტერ-ში მსურდა, მაგრამ იმის გამო, რომ მათსმა სუსტი სეზონი ჩაატარა, ეს

აღარ გავაკეთეთ.
— მანჩესტერ იუნაიტედში ასევე გსურდათ თომას მიულერის მიყვანა. კლუბი ბაიერნს 100 მილიონზე მეტს

– შემიძლია დავადასტურო, რომ მსურდა მიულერის გუნდში ხილვა, მაგრამ ბაიერნმა გაგვაგებინა, რომ

არანაირ პირობებში არ გაყიდდა მას.
– სამაგიეროდ, მოგვიანებით ბასტიან შვაინშტაიგერი შეიძინეთ.

– რა თქმა უნდა, შვაინშტაიგერი ახალგაზრდა ფეხბურთელი არ ყოფილა, მაგრამ ძალიან ასაკოვანიც არ იყო. თუმცა, მაინც ის ფიზიკურად ინგლისის ჩემპიონატის რიტმს ვერ შეესაბამებოდა. ბაიერნმა ის ჩვენ მოგვყიდა, როგორც კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელი, მაგრამ სინამდვი-ლეში ეს ასე არ ყოფილა. ბასტი არ იმსახურებდა იმას, როგორც ექცეოდა მაურინიო ჩემ შემდეგ. მე ვწუხვარ, რადგან ის იმ დონის ფეხბურთელია, როგორც ლუის ენრიკე, მარკ ვან ბომელი ან ფილიპ ლამი. ისინი იმათ შორის არიან, რომლებიც ყოველთვის ჩანან მოედანზე.

ლამმა გადაგარჩინათ ადრეული გათავისუფლებისაგან, როდე-საც ერთ-ერთ ინტერვიუში მან კლუ-ბის სატრანსფერო ბოლიტიკა გააკ რიტიკა და მხარი თქვენ დაგიჭირათ, რის შემდეგაც 50.000 ევროთი დააჯარიმეს.

– მახსოვს. ფილიპი ჩემი წამყვაფეხბურთელი იყო და კაპიტანი გავხადე. მაგრამ ასევე არ დამვიწ-ყებია, რომ შემდეგ მან ჩემი გათავიუფლების საკითხშიც დიდ როლი ითამაშა. ჩემი მუშაობით ასეთი აღფრთოვანებული რომ ყოფილიყო, ჩემ საწინააღმდეგოდ არ ილაპარაკებდა.

იმედი გაგიცრუვდათ?

— მოგიყვებით ერთ ისტორიას ამის შესახებ. როდესაც მე ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი ვიყავი. 2012 წელს ჩვენ გერმანიის ნაკრებთან ვთამაშობ-ღით ამსტერდამში (0:0). მატჩის შემდეგ ფილიპი ნახევარი საათი მელოდებოდა, ხელი რომ ჩამოერთმია. ჩემთვის ეს მომენტი მეტად ემოციური იყო, რადგან ვიცოდი, თუ რატომ გააკეთა ეს მან. მას სინდისი აწუხებდა. ამ ჟესტის შემდეგ მე ჩემი წყენა დავივიწყე.

– *2013 წელს ტრებლის მოპოვე*ბის შემდეგ ჰაინკესმა ბანკეტზე იცეკვა. არის მასშიც რაღაც "საღამოს წვეულებების მეფის" ნაწილი?

 ბანკეტზე ცეკვა იგივე არ არის, აივანზე ხალხის წინაშე რომ იცეკვო, როგორც ამას მე ვაკეთებდი. მაგრამ, თუ იმ საღამოს ფოტოს შევხე-დავთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ იუპს პოტენციალი გააჩნია.

შიშველი ტურისტის ფოტომ ქვის პენისთან მისი თაყვანისმცემლები აღაშფოთა

ტაილანდის კუნძულ სამუის მცხოვრებლებმა მოითხოვეს, დასაჯონ შიშველი ტურისტი გოგონა, რომელმაც მათი წმინდა კლდე, რომელიც მამაკაცის სასქესო ორგანოს წააგავს, შეურაცხყო.

გოგონა კლდე ბაბუას-ორშაბათს შენიშნეს. ის გაშიშვლდა და ქვის პენისს ჩა-ეხუტა, რომლის სიმაღლე დაახლოებით 3,5 მეტრია. თვით-მხილველებმა მომხდარი გადაიღეს და ფოტოსურათები ინ-

ტერნეტში გამოაქვეყნეს. მომხდარით აღშფოთებულმა ადგილობრივებმა პოლიციას მოუწოდეს, დაადგინოს ტურისტის ვინაობა. ისინი მიიჩნევენ, რომ გოგონა უნდა დააპატიმრონ და აიძულონ, ბოდიში მოიხადოს.

— ეს განსაკუთრე-ბული კლდეა, რომელიც ჩვენი კუნძულის სიმბოლოს წარმოადგენს, – განაცხადა ერთ-ერთმა უკმაყოფილო ადგილობრივმა, — მის მი-მართ ასეთი ქმედება შეურაცხმყოფელია.

კლდეები ბაბუა და ბებია, რომლებიც მამაკაცისა და ქალის სასქესო ორგანოებს წა-



აგავს, სამუის ღირსშესანიშნაობაა. ლეგენდის თანახმად, ოდესღაც ისინი ადამიანები იყ-ვნენ. ქარიშხალმა გადააბრუნა ნავი, რომლითაც მათ შვილის მზითევი გადაჰქონდათ. შერ-ცხვენილები ზღვაში გადახტნენ და უზარმაზარ ქვის კლდეებად გადაიქცნენ.

ბრიტანელი ფერმერი ღორების შეურაცხმყოფელი გამოთქმების აკრძალვას მოითხოვს

ბრიტანელმა ფერმერმა ინგლისური ენის ოქსფორდული ანბანის ავტორებს მიმართა მოწოდებით, იქიდან ამოიღონ სიტყვები, რომლებიც ღორებს სამ-ყაროს წინაშე უარყოფითად წარმოადგენენ.

43 წლის ფერმერმი ფერგიუს ჰაუი ესექსის საგ-რაფოდან მიიჩნევს, რომ გამოთქმები, "ღორივით ჭა-

მა", "ღორმუცელობა" და "ღო-რივით გასიებული", მის ბიზნესს აზარალებს.

– მე, როგორც მეღორემ, ჩვენი ქვეყნის ყველა ღორის სახელით მინდა განვაცხადო, რომ ჩვენს აღშფოთებას ინ-



ვევს, როდესაც ადამიანები ამ-ბობენ: "ღორივით ჭამს". ეს დამამცირებელია და სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო წარმოდგენას ქმნის, რომ ღორის ხორცში ბევრი ქონია, განმარტა ფერმერმა.

ამ ყოველივეს დასადასტურებლად ჰაუის მოჰყავს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, ადამიანების 90 პროცენტს ღორის ხორცი მოსწონს, თუმცა მხოლოდ 30 პროცენტი ყიდულობს მას ყოველკვირა. ბიზნესმე-ნის აზრით, დანარჩენები ამ პროდუქტის ყიდვას თავს იმიტომ არიდებენ, რომ მსუ-ქანი ხორცის ჭამა არ სურთ.

– ამჟამად ღორის ხორცში 44 პროცენტით ნაკლები ცხიმია, ვიდრე ეს 1970-იან წლებში იყო, – ამტკიცებს ჰაუი, – ხოლო ამავე დროს თავად ადამიანები 30 პროცენტით უფრო მსუქნები გახდნენ.



ჩინელს ნაპოვნი დათვის ბელი ძაღლის ლეკვი ეგონა

ჩინეთის პროვინცია იუნუნანის მცხოვრებს ჩამოართვეს ჰიმალაური დათვი, რომელიც პატარა იპოვა, ძაღლის ლეკვი ეგონა და ლეკვივით ზრდიდა.

2015 წლის აპრილში მამაკაცი სოკოს საკრეფად იყო წასული მთებში, რომლებიც მისი სახლის მახლობლად მდებარეობს და იქ გადაეყარა პატარა ცხოველს, რომელიც ძაღლის ლეკვს მიამსგავსა. მან ის სახლში წამოიყვანა და უვლიდა, რო-გორც ძაღლს. ჩინელი საკუთარ შეცდომას მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, რაც ცხოველი გაიზარდა და ის ჰიმალაური დათვი აღმოჩნდა. უკანა ფეხებზე შემდგარი ცხოველი თავის პატრონს მხრებამდე სწვდებო და, ხოლო მისმა წონამ 80 კილოგრამს

ხელისუფლებამ ცხოველის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც საკუთარი შეცდომის შესახებ ინფორმაცია მამაკაცმა ინტერნეტში განათავსა. შემოწმებისას დადგინდა, რომ მას ოფიციალური ნებართვა ჰიმალაური დათვის ყოლის თაობაზე არ ჰქონდა. ჩინეთში ამისთვის კანონის დამრღვევს სამი ათასი იუანით აჯარიმებენ.

იმის გამო, რომ მამაკაცი კარგად უვლიდა და ექცეოდა ცხოველს და გამოძიებასთანაც ითანამშრომლა, მას ჯარიმის გადახდა არ დაეკისრა. პოლიციამ დათვი ცხოველთა დაცვის ადგილობრივ დეპარტამენტს გადასცა, რომელმაც ის ცხოველ-თა თავშესაფარში გადაიყვანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარტისთვის

33რძი – ურთიერთობა გარშემომყოფებთან ჰარმონიულია. ირწმუნეთ საკუთარი ძალების. **კერო** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობა სტაბილურდება. ნუ ეცდებით, ყველას ჭკუა ასწავლოთ. **მყშპმბ**0



– მშვენიერი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისათვის. მთავარია, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ.**ქირჩხიბი** – ოჯახში დაძაბულობაა. მშვიდად იყავით და საქმეც უკეთესობისკენ წავა. **ᲚᲝᲛᲘ** — საკმაოდ დადებითი დღეა. სასიამოვნო სიახლეები სასიცოცხლო პოტენციალს აგიმაღლებთ. ქელნული – დღეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. თავს მოუარეთ. სპსწო**რՈ** – ყურადღებით იყავით, ტრავმების მიღების რისკი დიდია. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **ຌᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – მეგობრებთან მცირე უთანხმოება გელით. ემოციები მაქსიმალურად მოთოკეთ. **მშ3ილლოსანი** — კამათში ნუ ჩაერთვებით. ნებისმიერ შემთხვევაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. თხის **რქა** – დღის პირველ ნახევარში განმარტოვდით და დაშვებულ შეცდომებზე იფიქრეთ. საღამოს შეგიძლიათ სტუმრები მიიღოთ. **მერნყული** — პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული**. Თე3ზები** – ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს გიმართლებთ. ჩანაფიქრის რეალიზებას უპრობლემოდ მოახერხებთ. გისუჩვებთ ბეჹნიეჩ ჹღეს!

შვეულად: 1. "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 2. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 3. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 4. პლანეტა მარსის ძველი სახელწოდება; 5. დეკორატიული ჯიშის ხუჭუჭბეწვიანი ძალლი; 9. თვითმფრინავთმშენებლობის ერთერთი ცენტრი ინგლისში; 10. კავშირი, გაერთიანება; 14. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო; 15. ფსონების ამკრეფი-მიმღები ტოტალიზატორში; 16. უბანი თბილისში; 19. დიდი ბუ; 20. ხევისბერი ფშავ-ხევსუ-რეთში; 21. სათათბირო ორგანო მართლმადიდებელ ეკლესიაში.

თარაზულად: 6. მომავლის გეგმები; 7. ობობის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ძალოსნობის იარაღი; 11. ქართული ხალხური ცეკვა; 12. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 13. ხორვატიის დედაქალაქი; 17. პატარა იუმორისტული მოთხრობა; 18. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 23. ფრანგული ყველი; 24. თურქმენეთის დედაქალაქი; 25. სხეულის მოძრაოზის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი. *შეადგინა თკოპალეიშვილმა*

ᲜᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ <u>ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔ</u>ᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ **ᲙᲠᲝᲡ**ᲕᲝᲠ**ᲦᲔᲑᲘᲡ Პ**ᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

პროსვორდი ა

შვეულად: 1. ქვემეხი; 2. დანლოპი; 3. ონიქსი; 4. ტუმბო; 5. ისლანდია; 7. შოუ; 11. როიალი; 15. გერუსია; 16. "აქსისი"; 17. სეიკო; 18. ოპეკი; 20. კანიო; 22. პინო.
თარაზულად: 6. "ვაშაში"; 8. კანტონი; 9. ვიმპელი; 10. მერკური;

12. გესლი; 13. ოფურო; 14. მისისიპი; 19. პარსეკი; 21. "გელაპი"; 23. პენსი; 24. აკვანი; 25. დიზაინი; 26. ბიჭვინთა.

კሐጠს3ጠሐᲓበ ኔ

შვეულად: 1. ჩაპლინი; 2. ჟენშენი; 3. ანთრაციტი; 4. ბინომი; 5. გრივნა; 9. ჭუპრი; 10. ომმეტრი; 14. ფორტეპიანო; 15. ტელევიზია; 16. მტრედი; 19. "ფიდელიო"; 20. ვლტავა; 21. ანანდი.

თარაზულად: 6. კამბეჩოვანი; 7. მადიარი; 8. ალვეში; 11. პულმანი; 12. "ონიმა"; 13. "დიადორა"; 17. გეომეტრია; 18. ტიტესტერი; 22. ფლორიდა; 23. დანლოპი; 24. ბიპოლიდი; 25. სალივანი.



ᲜᲘᲙᲝ ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲖᲔ **ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲒᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ**

მსახიობსა და პოეტ ნიგომელაურზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. ფილმის ჩვენება კინოს სახლში თავისუფალ რეჟიმში გა-იმართა და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის იყო შესაძლებელი.

"ნიკო გომელაური" – ასე ეწოდება მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს და იგი მაყურებელს ნიკო გომელაურის ცხოვრებისა და შე-



მოქმედების შესახებ მოუთხრობს. ფილმისთვის სცენარი პავლე ფინმა შექმნა, მუსიკა – გია ყანჩელმა, მონტაჟი კი დავით კიკნაძეს ეკუთვნის.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ: "ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲝ"

მსახიობი გიორგი მახარაძე რამდენიმე თვეა, ავთვისებიან სიმსივნეს ებრძვის. ერთგული მაყურებლისა და მეგობრეპის დახმარებით მან შეძლო სა-สุกศัก องโชกบ์ อิกาลศักვება და თურქეთში სამკურნალოდ გამგზავრება.

ერთ-ერთი ბოლო ვიზიტის შემდეგ მსახიობმა განაცხადა, რომ, საბოლოო პასუხებით, მისმა მკურნალობამ კარგად ჩაიარა.



გიორგი მახარაძე:

– დღეს იყო საბოლოო პასუხები. მკურნალობამ კარგად ჩაიარა, მეტი ქიმია აღარ დამინიშნეს. **3** თვეში გადასამოწმებლად დამიბარეს და რაღაც პერიოდის განმავლობაში უნდა ვიყო ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გვერდში დგომისა და დახმარებისთვის. თქვენ გარეშე არაფერი გამოვიდოდა. მიყვარხართ.

9M97 6U37979UF ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲝᲚᲘᲜᲐᲛ ᲓᲐᲮᲣᲠᲐ

მოსკოვში მერსედეს ბენცის მოდის კვირეული გაიმართა, რომელზეც დიზაინერებმა შემოდგომა-ზამთრის 2042 42 ~ 2018-19 წლის ახალი კოლექციები წარმოადგინეს.

მონაწილე დიზაინერთა შორის ქართველი გოგა ნიქაბაძეც იყო, რომელიც წლებია რუსეთში მოღვაწეობს და მოდის მოყვარულებისთვის

ქართველმა დიზაინერმა



ქალისა და მამაკაცის სამოსი წარმოადგინა. გოგა ნიქაბაძის ჩვენებაში ცნობილ მოდელებთან ერთად მონაწილეობა მომღერალმა ლარისა დოლინამაც მიიღო, რომელმაც ქართველი დიზაინერის ჩვენება დახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲙᲝᲚᲘᲐᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

25 წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი დილიდან, როცა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცების სიცოცხლე შეწყდა გუმისთის მისადგომებთან...
ჩვენო სოსო! შენ სიმღერით შეეგებე სიკვდილს...

23-ე ბატალიონის სადაზვერვო ასეულის მეთაური, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი — ვამაყობთ შე-

გვიყვარხარ! გვენატრები!

ნათელი დაადგეს შენს ხსოვნას!

შენი ახლობლები


ᲡᲐᲛᲑᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠ**ᲦᲐ, 12**–ᲦᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲦᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ, ᲢᲘᲪᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔ**ᲑᲡ ᲒᲐᲛ**ᲝᲤᲔᲜᲔᲜ

საქართველოში მიქელანჯელოს, ტიციანის, ლეონარდოსა და სხვა იტალიელი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინება. ექსპოზიცი-ები "ჩექ ინ ჯორჯიას" ფარგლებში მოეწყობა.

საქართველოში იტალიის ელჩ ანტონიო ენრიკო ბარტოლის ინფორმაციით, მსგავსი ღონისძიებები ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია:

– ტურიზმი უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და მი-მაჩნია, რომ ტურიზმი საქართველოს ნავთობია. წლევანდელი ჩექ ინ ჯორჯიას ფარგლებში იტალიური მხარე ბევრი ფესტივალის ორგანიზებაში მონაწილეობს და მომავალშიც გააგრძელებს მონაწი-



ლეობას, რადგან ჩვენი მთავარი სურვილი იყო, ჩავრთულიყავით და გვეთანამშრომლა ისეთ ღონისძიებაში, რომელიც მანამდე საქართველოში არ გამართულა და ეს არის მსოფლიოს უნივერსალური, დიდოსტატი მხატვრების გამოფენა. ჩვენ

დავიწყეთ ბოტიჩელითა და კარავაჯოთი და წელს ვაგრძელებთ ისეთი დიდი სახელით, როგორიც არის მიქელანჯელო. მაისიდან აგვისტოს ჩათვლით გაიმართება სა-მი გამოფენა. მათ შორის ერთერთია რენესანსის პერიოდის გრაფიკა, ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ბოტიჩელის, რაფაელისა და ბევრი დიდოსტატის ნამუშევრის გამოფენა. ასევე წარმოდგენილი იქნება ფერთა დიდოსტატ ტიციანის ორიგინალი მადონა

ბავშვით, მოეწყობა თანამედროვე იტალიური ხელოვნების გამოფენა და ყველა ექსპოზიცია მუზეუმების საერთაშორისო დღეს, 18 მაისს, გაიხსნება. აგვისტო-სექტემბერში კი გაიმართება გამოფენა, რომელიც ბაროკოს პერიოდს მიეძღვნება.

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲦᲐᲫᲔ: "ᲗᲐᲕᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲘᲛᲪᲘᲠᲔᲑᲗ **Ხ**ᲕᲔᲬᲜᲐ–ᲛᲣᲦᲐᲠᲘᲗ"

მწერალი ლაშა ბუღაძე ქართველ საზოგადოებას მიმართავს და შეტი მოქმედებისა და ხმაურისკენ მოუწოდებს.

დრამატურგი ახალ ჩანაწერს აქვეყნებს სახელწოდებით "ანტიგონეს დაუმარხავი ძმა", რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს ეძღვნება:

"გახსოვთ სოფოკლეს "ანტიგონე"? ტრაგედია პატარა ანტიგონესა და ძლევამოსილი მეფე კრეონის დაპირისპირების

კრეონი ბრძანებას გასცემს, რომ დაუმარხავად დატოვონ ოიდიპოსის ერთ-ერთი ვაჟი, ანტიგონეს ძმა და სიკვდილით დაისაჯოს ყველა, ვინც მის ბრძანებას არად ჩააგდებს და მიცვალებულს მიაბარებს მიწას.

მაგრამ ანტიგონეს სასჯელის არ ეშინია, ის თითქმის დაუფიქრებლად არღვევს კრეონის აკრძალვას და სრულიად მარტო თხრის საფლავს თავისი ღვიძლი ძმისათვის.

ანტიგონეს იჭერენ და კრეონთან მიჰყავთ, რადგან კანონის დამრღვევი მეფის დისშვილია.

კრეონი ბრაზობს, რადგან თუკი თავისი ბრძანების სიმტკიცის შენარჩუნება აქვს გადაწყვეტილი, მაშინ საკუთარი დისშვილი უნდა დასაჯოს სიკვდილით.

კრეონი მორჩილებას ითხოვს ანტიგონესგან და სიცოცშენარჩუნებას სთავაზობს კომპრომისის სანაცვლოდ, ანტიგონე კი ამბობს, რომ პირობის დადებას აზრი არა აქვს, რადგან როცა გადარჩება, თუკი გადარჩება,, აკრძალვას ხელახლა დაარღვევს და ძმას ისევ მიაბარებს მიწას.

და აი, აქ იწყება მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და ტრაგიკული პაექრობა, რომელიც ანტიგონეს სიკვდილითა და კრეონის მარცხით სრულდება.

კრეონი მარცხდება, რადგან ის ვერაფერს უპირისპირებს ანტიგონეს ღირსებას, ის ვერც მის შეშინებას ახერხებს, ვერც დამცირებას და ვერც დაჩაგვრას...

რადგან ანტიგონე არაფერს სთხოვს კრეონს, არ ეხვეწება და ქედს არ უხრის!

რადგან, თუკი თავს დაიმცირებს, დამარცხდება კიდეც. კრეონს კი სწორედ ეს უნდა: რომ ყველა ხედავდეს, როგორ შეშინდა და შედრკა ანტიგონე, რა სუსტი ყოფილა ეს პატარა გოგო და როგორი მადლობელი იქნება, როცა დიქტა-

ტორი მას გამონაკლისის სახით უწყალობებს სიცოცხლეს. გვამს კი ისევ არავის მისცემენ დასამარხად...

მართალია, სოფოკლეს კრეონი ბევრად უფრო ლმობიერი და ადამიანურია, ვიდრე დღევანდელი რუსეთი და, რუსეთისგან განსხვავებით, კრეონს აქვს არგუმენტი, თუ რატომ უნდა აღსრულდეს მისი ბრძანება, მაგრამ მიზანი ორივეს ერთი აქვს: კრეონს ანტიგონეს დამცირება უნდა, რუსეთს საქართველოსი, კრეონის სამიზნე ანტიგონეს ინდივიდუალიზმი და ღირსებაა, რუსეთის სამიზნე, საქართველოს თავისუფლება, რაც სწორედ ღირსებისა და ინდივიდუალიზმის ერთგვარი სინთეზია.



ᲛᲐᲘᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ **୧১ "**ኔሐጠየፀበლበ" OUSYAGU **ბ**ოუნ**ღ**ება

ხანმოკლე შესვენების შემდეგ მაია ასათიანი და მისი ტოკშოუ "პროფილი" ეთერში ბრუნდება.

გავრცელებული ინფორმაცია, რომ მაია მძიმედ არის ავად და მას ექიმებმა ეკრანზე გამოჩენა აუკრძალეს, სიმართლე არ აღმოჩნდა. "პროფილის" ოფიციალურ-

მა გვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მაია ასათიანი სტუდია შია და ახალ გადაცემას

წერს: - მალე! ეთერში ვბრუნდებით. ტრადიციული ფოტო გადაცემის ჩაწერამდე. დაელოდეთ შემდეგ ხუთშაბათს. მადლობა ყველას ყურადღებისთვის. მოგვენატრეთ. შემდეგ ხუთშაბათს ძალიან საინტერესო გადაცემა გელოდებათ.



რუსეთი მოკლული ქართველი კაცის ცხედარს არ გვაძლევს, ფაქტობრივად, ომში მოკლულის, რადგან რამდენიც არ უნდა ვიმღეროთ, ვიცეკვოთ, ვილაპარაკოთ და ვილოცოთ ორმხრივი სიყვარულით აღტყინებულებმა, არსებულ რეალობას ვერსად წავუვალთ, რუსეთი ორასწლიან ომშია ჩაბმული საქართველოსთან და ხურჩაში, ხელოვნურ საზღვართან თუ ცხინვალის ციხეში მოკლული ქართველები სწორედ ამ ისტორიულ ომში დაღუპული ადამიანები არიან.

ღირსება მნიშვნელოვანია, რადგან სოფოკლეს კრეონის ისტორიული სუროგატის, პოლიტიკური რუსეთის ერთ-ერთი არცთუ შეფარული მიზანიც ისაა, რომ ღირსება დავკარგოთ უსუსური და თითქმის მონური ხვეწნა-მუდარის დროს.

რადგან სსრკ-ის იდეოლოგიური მემკვიდრე პუტინის რუსეთისთვის დიდ მორალურ პრობლემას არ წარმოადგენს ცხედრის დაპატიმრება თუ საერთოდ გაქრობა, მილიონობით ადამიანი გაუქრიათ საბჭოურ ეპოქაში და მოკლული კაცითაც იმდენ ხანს ივაჭრებენ ჩვეული პოლიტიკური სადისტურობით, სანამ სისაწყლემდე არ გავფლანგავთ თავმოყვარეობის ნარჩე-

მერე კი, როცა საბოლოოდ შეგვრცხვება ერთმანეთის და როცა უხერხულად გაღიმებასაც კი ვერ შევძლებთ სიტყვა ღირსების გაგონების დროს, აი სწორედ მაშინ გამოიჩენენ "დიდსულოვნებას" და უკვე თავსლაფდასხმულებს, მაგრამ "უზომოდ მადლიერებს" გვიწყალობებენ "საჩუქარს", რათა ამითღა დავრჩეთ კმაყოფილი და აღარც მოგვინდეს, შეგვეშინდეს ან უბრალოდ შეგვეზაროს თუნდაც მხოლოდ ლაპარაკი მკვლელებზე..

ამიტომ თავს ნუ დაიმცირებთ ხვეწნა-მუდარით! თქვენი ხმა სხვაგან უნდა ისმოდეს. და ბევრად უფრო

მკაფიოდ, ვიდრე დღეს ისმის. იხმაურეთ! ამხილეთ!

როგორც კრეონი ამხილა ანტიგონემ!



6060 609004040 გოგონას **ጀጋ**ፎን <mark>გ</mark>ንዞፎን

ადელი გოგონას დედა გახდა. მას და მის მეუღლეს, ბიზნესმენ თემურ უგულავას, გოგონა შეეძინათ. დედაშვილი თავს კარგად გრძნობს.

ნინი ბიზნესმენის მესამე ცოლია. მას მოდელთან მეორე . შვილი შეეძინა. გოგონას მშობლებმა ტოკიო დაარქვეს. ნინი ნებიერიძესა და თემურ უგულავას პირველი შვილი ბიჭი, თემო, ჰყავთ, რომელიც გასულ წელს

ᲑᲣᲙᲘᲜᲘᲡঙᲘ ᲨᲔᲘᲡᲧᲘᲓᲘᲡ XVIII-XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ, ᲒᲠᲐᲕᲘᲣᲠᲔᲑᲡ, ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲡ, ᲞᲚᲐᲥᲐᲢᲔᲑᲡ,

ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲡ, 1945 ᲬᲚᲐᲛᲦᲔ MERCERMENS ORNOREDS COMPAND

ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲘᲡ ᲡᲒᲐᲒᲣᲔᲑᲡ 200 ᲚᲐᲠᲐᲦ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲥᲔᲚᲡ




591-75 35 38



გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში http://www.opentext.ge/akhalitaoba

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ **16** ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲒᲔᲑᲘᲡ <u>ᲛᲐᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ</u> ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ







3.0166

100 რუსული რუბლი — — 4.2896



6 33481936

მაია ბურჭულაძე

ฃฃᲐႱᲝ **ՆՈ**ᲚᲔᲗՈ ᲜᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲦ 4 ᲚᲐᲠᲘ

8 ᲛᲐᲠᲒᲘᲦᲐᲜ

60 ამბავი **ᲓᲐ**ᲥᲐᲠᲒᲣᲚᲘ ചാപ്പദാനാദ്വ



ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲦ 10 ᲚᲐᲠᲘ



13 ᲛᲐᲠᲒᲘᲦᲐᲜ

ავთანდილ ბუხრაშვილი

ᲥᲐᲚᲘ ᲩᲐᲜᲗᲐᲨᲘ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ጋሐወንዌ 5 Ლንሐበ

ᲛᲐᲠ&ᲘᲦᲐᲜ

100 ამბავი **ᲛᲡᲝᲤᲚ്ᲘᲝ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲔᲑᲘ**





ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲛᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ

ხანდაზმულმა ბრიტანელმა სიუ ელკოკმა უზარმაზარი ზღვის ქორჭილა დაიჭირა, რომელიც ზომით თავად მას აღემატება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამო-

ცემა ავრცელებს. 68 წლის ქალბატონი სათევზაოდ შვილთან ერთად გამელიც ავსტრალ ის ქალაქ პერტში ცხოვრობს. მისი თქმით, ქალი მაშინვე მიხვდა, რომ ანკესს დიდი თევზი წამოეგო. მისი წყლიდან ამოსაყვანად ელკოკს დაახლოებით ორმოცი წუთი დასჭირდა. მას ამაში შვილი და კიდევ ორი მეთევზე ეხმარებოდნენ.

ზღვის ქორჭილა, რომელიც ქალმა დაიჭირა, დაახლოებით 60 კილოგრამს იწონიდა, ხოლო მისი სიგრძე 162 სანტიმეტრს შეადგენდა. ეს ხუთი სანტიმეტრით აღემატება თავად ქალის სიმაღლეს.

– როდესაც მან წყლიდან საკუი არ ვუჯერებდი, რომ ის შეიძლება ასეთი ზომის ყოფილიყო, – განაცხადა ბრიტანელმა ქალბატონმა. მისი მტკიცებით, მას აქამდე 30 სანტიმეტრზე დიდი ზომის თევზი არასდროს დაუ-



მიიყვანა ექიმთან. საგულდა-გულოდ გასინჯვის შემდეგ, ქალი ეკითხება:

- აბა, ექიმო, რას იტყვით, როგორაა საქმე.

ქალბატონო, გაიხადეთ და ტახტზე დანექით.

– კი მაგრამ, მე ბავშვზე გეკითხებით.

– მაგის მკურნალობას ახლის გაკეთება ჯობია.

რუსს ეკითხებიან: – პრეზიდენტის არჩევნებზე მიდიხარ?

– არა. – რატომ?

 თუ პუტინი ერის მამაა, მაშინ არჩევნებზე რა მინდა? რატომ?

– განა მშობლის არჩევა შეიძლება?!

დაწესებულების თანამშრომელი ხელფასის აღების შემდეგ ბუღალტერს ეუბნება: – თქვენ მე 20 ლარი დამა-

_ სწორია, მაგრამ, სამაგიეროდ, წინა ხელფასზე 20 ლარით მეტი რომ მოგეცით, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა?

 იმიტომ, რომ თქვენ როდესაც ერთხელ შეცდით, ამაზე კიდევ შეიძლება კაცმა თვალი დახუჭოს, მაგრამ მეორედ უკვე მეტისმეტია!

ერთი ქალი მეორეს ეუბნე-

– რაც უფრო მემატება ასაკი, პაემანი მით უფრო მეტად ემსგავსება გასაუბრებას.

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი აზრით, პროგრამისტებსა და შამანებს ბევრი საერთო აქვთ.

– ასე რატომ ფიქრობ? – ორივე გაუგებრად ბურ**-**

ტყუნებს, გაუგებარ მოძრაობებს ასრულებენ და არ შეუძ-ლიათ ახსნან, ეს როგორ მოქმედებს.

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მთვრალი ქალის ორგაზმამდე მიყვანა უფრო ადვილია, ვიდრე სახლამდე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



336606

RJAJ3NJ6N

ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ კანდიდ ჩარკვიანი

ᲡᲒᲐᲚᲘᲜᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲦᲔᲑᲘ


ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲦ 12 ᲚᲐᲠᲘ

"ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ **ኔ**ሐነლበ በታበ"

ჩელსის ბელგიელმა მეკარე ტიბო კურტუამ ბარსელონასთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ პირველი გოლი მისი შეცდომის შემდეგ გავიდა. კურტუას თქმით, ის არ ელოდებოდა, რომ იმ ეპიზოდში მესი კარში დაარტყამდა და ამის გამო მან რეაქცია დააგვიანა.

– ჩელსიმ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ინდივიდუალურმა შეცდომებმა ყველაფერი გადაწყვიტა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ პირველი გოლი ჩემი ბრალი იყო და ამის გამო ჩელსის ზიანი მიადგა. ეს შეხვედრა უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიფიქროთ, – განაცხადა ტიბო კურტუამ.

ჩელსიმ ბარსელონასთან სტუმრად 0:3 წააგო და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა.



ᲡᲔᲠᲮᲘᲝ ᲑᲣᲡᲙᲔᲒᲡᲘ 3 ᲙᲕᲘᲠᲐᲡ **ᲒᲐᲛᲝ**ᲒᲝᲕᲔᲑᲡ

ბარსელონის საყრდენმა ნახევარმცველმა, სერხიო ბუსკეტსმა, ჩელსისთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო, რის გამოც ის, სავარაუდოდ, 3 კვირას გამოტოვებს.

ბუსკეტსი მეორე ტაიმში გახდა შესაცვლელი, ხოლო ბარსელონის მწვრთნელ-მა, ერნესტო ვალვერდემ, მატჩის შემდეგ სერხიოს სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა. ბუსკეტსი თითქმის 10 წელია, ბარსაში თამაშობს და ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი ფეხბურთელია.

ᲞᲐᲠᲘ ᲙᲔᲘᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲡ

ტოტენჰემისა და ინგლისის ნაკრების ლიდერი, ჰარი კეინი, მსოფლიო ჩემპიონატს არ გამოტოვებს. კეინმა ბორმუტ-თან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და შიშობდნენ, რომ მას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კეინი ერთ თვეში შეძლებს მოედანზე გასვლას. ტრავმა არც ისე სერიოზულია და კეინი აპრილის ბოლოს ისევ დაბრუნდება ტოტენჰემის სასტარტო შემადგენლობაში.

კეინი ამჟამად პრემიერ ლიგის საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ, სავარაუდოდ, იძულებითი პაუზის გამო მას სხვა ფეხბურთელები მალე გაასწრებენ



მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

shmbamhon s

შვეულად: 1. ამერიკელი გაელექტროტექ დარგში; 2. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 3. რეგიონი კახეთში; 4. ყვითელი ფერის მტკიცე, გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 5. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 7. გამოძახილი ანუ..; 11. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქებების პროცესი; 16. ორგულობა, გამცემლობა, ვერაგობა; 17. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე ლონდონში; 22. პოლონეთის პრეზიდენტი.

თარაზულად: 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 9. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; **10**. ბრაზილიის

ფეხბურთელთა გუნდი; 12. საჭმელი სოკო; 13. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 14. მხარეთა თანასწორობის პრინციპი რაიმე უთანხმოების, კონფლიქტის გარჩევისას; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. აეროპორტი ტოკიოში; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც მადერას ტიპის მაღალხარისხოვან ღვინოს ამზადებენ. შეადგინა თ.გოგინაშვილმა